# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 27 აგვისტო 2003 №160 (1931) | ფასი 50 თეთრი


## კობიაშვილი არ ხუმრობს

უეფას თასზე გადასასვლელად შალკეს ნახევარი გუნდიც ეყო. ლევანმაც დაისვენა





## მამა აბრამის კიდევ ერთი ბატკანი

გუშინ კრესპომ „სტემფორდ ბრიჯზე" პირველად ივარჯიშა და ჩელსი – ჟილინას 3:0 ნახა



როდესაც სპორტიდან მიდიან პიტ სამპრასის დარი დიადნი, გულში აუცილებლად ჩაგწყდება რაღაც და გეუფლება უჩვეულოდ სუფთა, წრფელი და საყვარლად გულისამაჩუყებელი გრძნობა: ხვდები, შენ მადლიერი ხარ ამ კაცის

## მშვიდობით, იარაღო!

### ემოციების პისტოლეტი

14-წლის მანძილზე მილიონობით ადამიანს რომ აღელვებდა

### აღარ გაისვრის

ყველა დროის ალბათ მაინც უდიადესი მეჩოგნე პიტ სამპრასი დიდი კორტიდან სუფთა სინდისით, დამშვიდებული გულითა და ბოლომდე დახარჯული წავიდა. წავიდა ისე, რომ არც საკუთარი თავისა და არც მილიარდობით ქომაგისთვის დასამტკიცებელი არაფერი დარჩა.

„მე მივდივარ, რადგან ვიცი, რომ უკვე დროა!"



პიტ სამპრასზე უფროსი ანდრე აგასი კი ჯერაც ტიტულების იმტაზეა. გუშინ ამერიკის ღია პირველობაზე სახელიანი ესპანელი ალექს კორეჩა მოინელა 6:1, 6:2, 6:2

REUTERS ლონდონიდან



ლიდსი — საუთჰემპტონი. ჯოდი მორისი სტუმარ მეტ ოუკლის წიხლით გაუმასპინძლდა

REUTERS გელზენკირხენიდან



შალკე — პაშინგი. გერმანელთა თურქმა ჰამიტ ალტინტოპმა საგოლედ ერთხელაც ვერ გაიწია

REUTERS ლა კორუნიადან



დეპორტივო — რუსენბორგი. ალბერტო ლუკემ ლაკორუნიელებს ლიგის ჯგუფური ეტაპი გაუნაღდა

REUTERS ლონდონიდან



ჩარლტონი — ევერტონი. სტივ უოტსონმა მასპინძელთა კარში მოხდენილად გაიტანა

# ამერი: მესამე და 3:1

**გიორგი დარჟანია მარბურგიდან**



დიმიტრო ვერემჩუკი

თბილისის „ამერმა" გერმანიაში მესამე მატჩიც მოიგო. გუშინ მისი მეტოქე ლანდესლიგაში მოთამაშე მარბურგის „მიხელბახი" იყო, რომელიც ამერელებმა 3:1 დაამარცხეს. აქვე ვთქვათ, რომ ის ერთი გოლიც „ამერმა" მსაჯის მიერ სრულიად უსაფუძვლოდ დანიშნული პენალტით გაუშვა. იქამდე კი, ათნიც დარჩნენ — თბილისელებს კაპიტანი გიორგი ჩიხრაძე ორი ყვითელი ბარათით გაუძევეს.

ანგარიში გიორგი განუგრავამ გახსნა, რომელმაც გიორგი კილასონიას ფლანგურ ჩაწოდებას ზუსტად დაჰკრა. ამის მერე მასპინძლებს ჰქონდათ საგოლე მომენტი — სათვალიანმა არბიტრმა პირველი არარსებული პენალტი გამოიგონა და ჩიხრაძესაც პირველი ყვითელი ბარათი აუფრიალა. მეკარე დავით ასლანაძემ მიმართულება გამოიცნო და ბურთსაც მოიგერიებდა, მაგრამ გერმანელი კრისტოფ ვედენჰაუსენიც დაეხმარა — ბურთი კარს ააცილა. სამ წუთში კი, მეკარესთან პირისპირ გასულმა მამუკა რუსიამ მეორე გოლი შეაგდო.

„ამერმა" მესამე გოლი მეორე ტაიმში, 62-ე წუთზე გაიტანა, როდესაც გიორგი დავითნიძის საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს დიმიტრი ვერემჩუკმა თავით მიუჩინა კარში ადგილი. „ამერი" უმცირესობაში თამაშის დასრულებამდე 13 წუთით ადრე დარჩა. კაპიტნის სამკლავური ვერემჩუკმა გადაიბარა და „ამერს" მშრალი ანგარიშის შენარჩუნება არც გაუჭირდებოდა, მსაჯის აშკარა მიკერძოებული გადაწყვეტილება და მეორე გამოგონილი პენალტი რომ არა, რომელიც 87-ე წუთზე სასშა ინმშიფმა გოლად აქცია.

„ამერი" თბილისში 30 აგვისტოს დაბრუნდება. პირველ სექტემბერს კი საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში პირველ მატჩს გამართავს „ქობულეთთან". გუშინ კი, „ამერმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ასლანაძე (ჩაჟიძე 86), დავითნიძე, ჩიხრაძე, ელბაქიძე (გვაძაბია 65), მჭედლიშვილი (დარსაძე 82), ვერემჩუკი, განუგრავა (ბერიანიძე 65), ნიკოლაიშვილი (ლუდუშაური 69), გ. კილასონია (ბუალავა 54), რუსია (წინამძღვრიშვილი 65), გოცირიძე (კუხრაშვილი 43, ჩიმაკაძე 84).*

## ჩემპიონთა ლიგა

**მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები**

*სპარტა (ჩეხეთი)* 2:2 ვარდარი (მაკედონია) (3:2)
0:1 გეორგიევსკი (30), 1:1 პობორსკი (34), 1:2 ანანვი (67), 2:2 სიონკო (83)

*ჩელსი (ინგლისი)* 3:0 ჟილინა (სლოვაკეთი) (2:0)
1:0 ჯონსონი (36), 2:0 მათი (67), 3:0 ჰასელბაინკი (78)

ვისლა (პოლონეთი) 0:1 *ანდერლეხტი (ბელგია)* (1:3)
0:1 დინდანე (85)

*დეპორტივო (ესპანეთი)* 1:0 რუსენბორგი (ნორვეგია) (0:0)
1:0 ლუკე (16)

## ინტერტოტოს თასი

**ფინალი. საპასუხო მატჩები**

*შალკე (გერმანია)* 0:0 პაშინგი (ავსტრია) (2:0)
ლევან კობიაშვილს არ უთამაშია

ვოლფსბურგი (გერმანია) 0:2 *პერუჯა (იტალია)* (0:1)
0:1 ტედესკო (17), 0:2 ბერეტონი (90)
გაძევება: ტიამი (ვოლფსბურგი, 42), კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი, 90)

*ვილიარეალი (ესპანეთი)* 0:0 ჰერენვენი (ჰოლანდია) (2:1)

## ინგლისი

**პრემიერლიგა. III ტური**
ლიდსი 0:0 საუთჰემპტონი
ლესტერი 0:0 მიდლსბრო
პორტსმუთი 4:0 ბოლტონი
ჩარლტონი 2:2 ევერტონი

**I დივიზიონი. IV ტური**
ნორვიჩი 3:2 უიმბლდონი
სტოკი 0:0 მილუოლი
ვესტ ჰემი 1:0 ბრედფორდი
კრისტალ პალასი 1:2 შეფილდი
უიგანი 1:0 იფსვიჩი

**II დივიზიონი. IV ტური**
კოლჩესტერი 2:1 ბრისტოლი

**III დივიზიონი. IV ტური**
მენსფილდი 5:0 სკანთორპი
იორკი 2:0 საუთენდი

**კონფერენსი. V ტური**
ჩესტერი 2:1 შრიუსბერი

## გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა V ტური**
ზანკტ პაული 3:0 ჰამბურგი (მ)

## შვედეთი

**ალსვენსკა XIX ტური**
იორებრო 2:2 გიოტებორგი

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# დიდავა გივის ინტერესებს იცავს

## თურქებს რომ უნდათ, ეგრე სად არის...

*ამ უქმეებზე თურქული მეორე ლიგა დაიწყო, დაიწყო ქართველი გივი დიდავას გარეშე. მისმა „ქოჯაელისფორმა“ სტუმრად „ალთაისთან“ 1:1 ითამაშა, თუმც ჩვენებური მწვრთნელს მატჩის განაცხადშიც არ შეუყვანია. მიზეზების გასარკვევად გივი დიდავას იზმითში დავუკავშირდით და იქაური ამბების გარდა საქართველოს ნაკრების მოახლოებულ ოფიციალურ მატჩებზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა*

**— ჩემპიონატი დაიწყო, მაგრამ შენი გვარი ვერსად აღმოვაჩინეთ. რატომ არ ითამაშე?**

— კლუბი კონტრაქტის პირობებს ვერ მისრულებს და ხელმძღვანელობას თავად ვუთხარი უარი. მოსამზადებელ ეტაპზე მუდმივად ვთამაშობდი, მაგრამ ახლა ამისგან თავი შევიკავე.

**— უქმად ყოფნას როდემდე აპირებ?**

— არ ვიცი, ხელმძღვანელობას კიდევ შევხვდები და თუ შევთანხმდით, ცხადია, ვითამაშებ კიდეც.

**— ჩივილს ხომ არ აპირებ?**

— არა, არ არის საჭირო. „ქოჯაელისფორის“ თავკაცებთან კარგი ურთიერთობა მაქვს და ყველაფერს ჩვენ გადავწყვეტთ. „ალთაისთან“ თამაშის წინ ყველანი მთხოვდნენ, ითამაშეო, მაგრამ მაინც უარი ვუთხარი.

**— ესე იგი, კლუბს ფინანსურად ძალიან უჭირს...**

— ეგრეა. თითქმის ყველა ფეხბურთელს პირობები გაუუარესდა. ალბათ, მეც იგივეს მიპირებენ, მაგრამ უკვე ვუთხარი, რომ ასეთ პირობებზე დათანხმებას არ ვაპირებ. გამოდის, რომ ტყუილად უნდა ვითამაშო, თანაც მეორე ლიგაში.

**— მაინც როგორ ფიქრობ, შეთანხმდებით?**

— თავად მეუბნებიან, დეკემბრამდე მაინც ჩვენთან უნდა იყოო. მათაც იციან, რომ ნაკრების წევრიც ვარ და გუნდს ვჭირდები, მაგრამ... არ ვიცი, თუ ვერ შევთანხმდებით, მაშინ სხვა კლუბში განათხოვრებაზე იქნება ლაპარაკი.

**— გეტყობა, რაღაც ვარიანტები გაქვს...**

— შემოთავაზებები ნაღდად არის, მაგრამ ყველაზე, ვერ ვიტყვი, რეალურიაო.

**— თურქული სუპერლიგის კლუბებია?**

— როგორც მითხრეს, „ტრაბზონსფორს“ ისევ სურს ჩემი გადაბირება. ვნახოთ, როგორ ჩაივლის მოლაპარაკებები.

**— „ქოჯაელისფორთან“ პირობებზე შეთანხმება იქნებ საერთოდაც არ გინდა, „ტრაბზონსფორი“ ხომ უფრო უკეთესი ვარიანტია...**

— ჰო, მაგრამ მთლად ასეც არაა საქმე. თურქეთში გუნდებს რვა ლეგიონერის ყოლის უფლება აქვთ. თუ „ტრაბზონსფორს“ უკვე ამდენი ჰყავს და არც ერთის გაყიდვას არ აპირებს, მაშინ ჩემს ტრანსფერზე საუბარი ნაადრევი იქნება. ერთი სიტყვით, სანამ მოლაპარაკება არ დაიწყება, თავის მტვრევა არ ღირს.

**— ნაკრებზეც ვთქვათ. მერაბ ჟორდანიამ ალბანეთთან სათამაშოდ შერჩეულ გაფართოებულ სიაში შეგიყვანა...**

— რა უნდა ვთქვა. მოგების მეტი არაფერი დაგვრჩენია. ყველანაირად ვეცდებით, რომ ალბანეთი დავამარცხოთ და მერე სტუმრად წარმატებულ შედეგზეც ვიფიქროთ.

**— ეს რამდენად რეალურია?**



„ქოჯაელისფორზე“ გულაყრილ გივი დიდავას „ტრაბზონსფორის“ ეიმედება

— რა ვიცი, ფეხბურთში ყველაფერი ხდება და წინასწარ როგორ განვსაზღვრო? ფაქტია, რომ მოსაგებად ვითამაშებთ.

**— თან საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელები ჰყავს...**

— ეს ჩემი განსასჯელი არაა. მე ნაკრებში გამომიძახეს და ვალდებული ვარ, ჩამოვიდე, ვითამაშო. დანარჩენი ფედერაციის საქმეა, ვერ ჩავერევი.

**ძაბა ფალამბერიძე**

# იონა სიმფეროპოლშიც ორია

## აისორული კლანი წყნარ დინებას მიჰყვება




*ზურაბ იონანიძე, წინა ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და მთავარმეგოლე, საქართველოში ყველა ტიტულის მფლობელი და ყველაზე მეტი გოლის გამტანი ფეხბურთელი ახლა უკრაინაშია — 31 წლის იონანიძე სიმფეროპოლის „ტავრიაში“ თამაშობს. დანარჩენს კი ინტერვიუში ამოიკითხავთ*

**— როგორ შეეგუე ახალ გუნდს და ახალ გარემოს?**

— კარგად, კლუბმა ბინაც გამომიყო, გუნდშიც თბილად მიმიღეს. მოკლედ, ნორმალურად ვარ. ვერ ვიტყვი, რომ მაგარი პირობები გვაქვს, მაგრამ ქუთაისის „ტორპედოზე“ ცოტათი უკეთესი კი არის.

**— შენი თამაშით უკრაინის ჩემპიონატზე და თასზე კმაყოფილი ხარ?**

— ჩემპიონატში ექვს თამაშში ორი გოლი გავიტანე, თასზე კი ორ მატჩში ორი. თასზე მერვედფინალში გავედით.

**— „ტავრიას“, რომელიც მეათე ადგილზეა, რა მიზნები აქვს დასახული?**

— ამაზე კონკრეტული საუბარი არც კი ყოფილა. წყნარ დინებას მივყვებით, რაც მეტ ქულას დავაგროვებთ, მით უკეთესი. 31 აგვისტოს ერთობ პრინციპული მატჩი გვაქვს „არსენალთან“, სადაც ორი ქართველი თამაშობს — შალვა აფხაზავა და გელა შეყილაძე.

**— როგორი, რა ტიპის გუნდია „ტავრია“?**

— „ტავრია“ გამოცდილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და გუნდის სიძლიერეს ეს ფაქტორი განაპირობებს. მართალია, არცთუ სახარბიელო სატურნირო მდგომარეობა გვაქვს, მაგრამ რთული მატჩები გვქონდა, თანაც ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია.

**— როგორ ფიქრობ, რამდენი გოლის გატანას მოახერხებ ამ სეზონში?**

— 15-20 გოლის გატანას კი ვაპირებ, მაგრამ რა ვიცი, რა მოხდება. წინა სეზონში, როცა საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირი გავხდი, პირველი წრეში ძალიან ცოტა გავიტანე და ძნელი წარმოსადგენი იყო ჩემი ბომბარდირობა, მაგრამ მერე წამივიდა გატანა. საგოლე მომენტების ნაკლებობას არც ახლა ვუჩივი, მაგრამ ამას იღბალიც უნდა.

**— „ტავრიას“ მთავარ მწვრთნელზე რას იტყოდი?**

— ანატოლი ზაიაევი ჩემი ნათესავია, ისიც აისორი გახლავთ. თუმც ჩემს სანახავად საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე, მე რომ არ ვიცოდი, ისე, „ტავრიას“ სხვა წარმომადგენლები იყვნენ ჩამოსულები, მათ შორის კლუბის ვიცე-პრეზიდენტი არანოვიც.

**— „ტავრიაში“ რა პოზიციაზე თამაშობ?**

— გამოკვეთილ ფორვარდად. აქაც 2 ნომერი ვარ.

**— ეს თავად მოითხოვე?**

— როგორც კი „ტავრიაში“ მოვედი, ორნომრიანი მაისურა დამახვედრეს — მათ ყველაფერი იცოდნენ და პრეზენტაციაზეც ორნომრიანი მაისურით წარმადგინეს.

**დავით თამართძილაძე**



# ზირაქიშვილი და თურქეთი არეულობამ დაამთავრა

**წინა** კვირის ამბავია — ზაზა ზირაქიშვილი თურქეთის სუპერლიგის დებიუტანტ „სებათსფორში“ მივიდა და იქაურებმა ჩვენებურს ხელმეორედ ჩასვლა სთხოვეს — ვარჯიშებზე დაგაკვირდებით და გამოგცდითო. ჰოდა, ზირაქიშვილი უქმეებზე ერთხელაც ჩავიდა იქ, მაგრამ გუნდის მთავარი მწვრთნელი „სებათში“ აღარ დახვდა — ბოლო ტურში „სებათმა“ შინ 1:3 წააგო ლიდერ „ისთანბულთან“ და მწვრთნელიც ზედიზედ სამი წაგებული მატჩის გამო მოუხსნიათ. მოკლედ, ზაზას არეულ-დარეული „სებათი“ დაუხვდა და ჩვენებური სავარჯიშოდ ერთხელაც არ გასულა მინდორზე — ზირაქიშვილი სამშობლოში ბრუნდება.


## სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის
(ტრუსები, მაისურები)
დამზადება გნებავთ,
თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ,
თქვენს მიერ კატალოგში
შერჩეული ესკიზით





ნომრები სპორტულ
მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა:
დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში

**სარო-არტპრინტი**

ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინდა მიყვარდეთ, გიყვარდეთ

## კარლოსი მძღოლის სიტყვას არ ენდობა



გაჩეჩი ქოთილაძის ფოტო

კარლოსი და კარლოსის ძე

*ბრაზილიელი კარლოს და როჩა თბილისის „დინამოსთვის" ის ფეხბურთელია, თამაშის მოგება რომ შეუძლია. მას ხან თვითონ გააქვს, ხან საპენალტოდ წაიქცევა, ხანაც საგოლე გადაცემას ასრულებს — კარლოსი მარჯვენა ფლანგზე დაქშიტინებს და ყველაფერ ამას იქიდან აკეთებს.*

*ტურის ცენტრალურ მატჩში ერთხელაც გაიბრწყინა ბრაზილიელმა — მან ოსტატურად ჩააბზრიალა ბურთი „ლოკომოტივის" საჯარიმოში და მიხეილ ბობოხიძემაც უნაკლო პასს უნაკლო თავური მიაყოლა, რითაც „დინამომ" გამარჯვება მოიპოვა.*

*დინამოელ ბრაზილიელს გუშინ დიღმის ბაზაზე შევხვდით ინტერვიუსთვის და პირველ რიგში „ლოკომოტივთან" მატჩზე გამოველაპარაკეთ*



გაჩეჩი ქოთილაძის ფოტო

— ამ თამაშისთვის სრულ მზადყოფნაში გახლდით. წინა შეხვედრაში „ვიტ ჯორჯიას" ვერ მოვუგეთ და გამარჯვება ძალიან გვინდოდა. მეტოქეც კარგ იშტაზე იყო — კარგა ხანია, რაც „ლოკომოტივს" ჩვენი დამარცხება სწყურია, მაგრამ ჩვენ დაცვაში კარგად ვითამაშეთ და მეტოქეს ამის ნება არ მივეცით.

**— „დინამომ" კი გოლი შენი ჩაწოდების შემდეგ გაიტანა...**

— ჩაწოდებები მიყვარს და ვარჯიშებზე ამას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ. კარგი ჩაწოდება ყოველდღიური ვარჯიშით იხვეწება. „ლოკომოტივთან" ყველაფერი ზუსტად გამომივიდა და ბობოხიძემაც კარგად შეასრულა თავური.

**— შეტევებში ეფექტურად და შედეგიანად ერთვები, მაგრამ დაცვაში არცთუ იშვიათად ცდები, ხანდახან უკან ჩამოსვლას ვერც კი ასწრებ...**

— ყველაფერი ეს ძალიან ძნელია — როცა წინ მივდივარ, ესე იგი, შეტევას ვეხმარები და ვილაცა მეც უნდა დამეხმაროს. მოკლედ, დაცვაში ჩამოსვლას ხან ვასწრებ, ხან ვერა, ამ ყველაფრის დალაგება ადვილი სულაც არ არის. შეტევა ძალიან მიყვარს, თუმც დაცვასაც ვეხმარები. როგორც მწვრთნელი მეტყვის, ისე ვიქცევი.

**— როგორ ფიქრობ, „დინამოს" გაუჭირდება ჩემპიონობის შენარჩუნება?**

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. ამ სეზონში კიდევ რამდენიმე ნორმალური გუნდი გამოჩნდა — „სიონი", „კოლხეთი"... თუ ფრთხილად არ ვიქნებით, სერიოზულ წინააღმდეგობებს წავაწყდებით. თუ კიდევ გვინდა ჩემპიონობა, ძალიან უნდა მოვინდომოთ.

**— „დინამო" წინა სეზონთან შედარებით უკეთესი გუნდია?**

— ვფიქრობ, კი. ჩვენ გერმანიაში ძალიან კარგად მოვემზადეთ. მართალია, პირველ ტურებში ქულები დავკარგეთ, მაგრამ ხდება ხოლმე — ეს ფეხბურთია...

**— „ტირანასთან" მარცხზე რას იტყოდი?**

— აქ მოვუგეთ, იქ წავაგეთ, მაგრამ რატომ? იმიტომ, რომ ყველამ ცუდად ვითამაშეთ. ამას 2-3 ფეხბურთელს ვერ დავაბრალებთ, მთელმა გუნდმა წააგო, არ გამოგვივიდა თამაში, „ტირანამ" კი შინ მართლაც კარგად ითამაშა.

**— „დინამოში" კიდევ რამდენ ხანს აპირებ თამაშს?**

— კონტრაქტით კიდევ ერთი წელი დამრჩა. აქაურობას ძალიან შევეჩვიე. ვგრძნობ, რომ აქ ყველას ვუყვარვარ როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება.

**— ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო დარჩენა გინდა, ვიდრე წასვლა?**

— კონტრაქტის დამთავრებამდე 4-5 თვე რომ დარჩება, გადაწყვეტილებას მაშინ მივიღებ. მე ყოველთვის ევროპაში თამაში მინდოდა და საამისო სურვილი ჯერაც არ გამნელებია. ამის გულისთვის საკუთარ თავზე კვლავაც ბევრს ვმუშაობ.

**— 30 წლის ხარ და კიდევ რამდენ ხანს აპირებ თამაშს?**

— ხუთი წელი კიდევ ვითამაშებ, მერე კი ვნახოთ. არ მინდა, კარიერა უევროპოდ დავამთავრო — ევროპაში თამაში ჩემი ოცნებაა.

**— მაინც რომელ ქვეყანაში გინდა თამაში?**

— გერმანიაში, ესპანეთში ან თურქეთში — ამ ქვეყნების ჩემპიონატებში თამაში ჩემთვის ძალიან კარგი იქნებოდა.

**— მოკლედ, საქართველოდან მალე აიბარგები...**

— ჩემი მძღოლი მეუბნება, აქ უნდა დარჩე საცხოვრებლად, ისე შეეჩვიე აქაურობასო, მაგრამ...

**— შენი BMW შენ აღარ დაგყავს?**

— როგორ არა, მაგრამ მძღოლი მაინც ავიყვანე. მალე ჩემი ცოლშვილი ჩამოვა და მათი აქეთ-იქით სატარებლად ყოველთვის ვერ მოვიცლი. ჩემპიონატის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ კი ერთად ჩავალთ ბრაზილიაში.

**— ვინ არის ბრაზილიაში ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი?**

— ლეგიონერთაგან რივალდო, რონალდო და რობერტო კარლოსი. ბრაზილიაში მოთამაშეთაგან სანტოსელები დიეგო და რობინიო.

**— შენ ყველაზე უფრო რომელი ბრაზილიელი ფეხბურთელი მოგწონს?**

— მე ყოველთვის რონალდო მომწონდა.

**— ქართველებიდან?**

— თქვენ ძალიან კარგი მცველები გყავთ — კალაძე და ხიზანიშვილი. განსაკუთრებით ხიზანიშვილი მომწონს, მან რუსეთთან ძალიან კარგად ითამაშა.

**დავით თავართქილაძე**

# ხალხს უნდოდა უცხო, მიიღო შორა

*ევროშესარჩევის ბოლო მატჩში მოსკოვში ჩასულ საქართველოს ნაკრებს რუსეთს გიორგი იარცევი დაახვედრებს. რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავკაც ვიაჩესლავ კოლოსკოვის გადაწყვეტილებით, „ორთავა არწივს" სწორედ იარცევი უხელმძღვანელებს*



55 წლის გიორგი იარცევის სამწვრთნელო მოღვაწეობა არცთუ მდიდარია. მას სამ რუსულ გუნდში — „სპარტაკში", „როტორსა" და „დინამოში" უმუშავია. იარცევმა 1996 წელს დაიწყო მწვრთნელობა და შთამბეჭდავი დებიუტიც მოიწყო. მაშინდელი „სპარტაკი" თაობათა ცვლის პროცესს განიცდიდა და იარცევმა ერთი ხელის მოსმით გაახალგაზრდავებული რუსული ფეხბურთის ფლაგმანი ჩემპიონი გახადა.

ვალერი გაზაევის გადადგომისთანავე ითქვა, რომ რუსებს ალექსანდრ ბოროდიუკი გაწვრთნიდა. ოლიმპიური ჩემპიონი ბოროდიუკი კოლოსკოვის ფავორიტი გახლდათ, მაგრამ მისმა შესაძლო გამწვრთნელებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია რუსეთში. ქომაგს თვალში არ მოსდიოდა მწვრთნელობაში ჯერაც გამოუცდელი ბოროდიუკი და კოლოსკოვიც იძულებული გახდა, უკან დაეხია. გულშემატკივრებისთვის სასურველი ვარიანტი უცხოელი მწვრთნელი იყო, თუმც რუსეთის საფეხბურთო კავშირი ამ ეტაპზე მზად არ აღმოჩნდა ევროპელი სპეციალისტის მისაწვევად. ამასთან დაკავშირებით მინიშნება კოლოსკოვმა გაზაევის გადადგომისთანავე გააკეთა და ამთავითვე ცნობილი იყო, რომ ევროშესარჩევი ეტაპის დარჩენილ სამ მატჩში რუსებს რუსს დაუნიშნავდნენ. ასეც მოხდა.

„შევხვდი პრემიერლიგის კლუბების პრეზიდენტებს და მათ აქტიურად დაუჭირეს მხარი იარცევის კანდიდატურას. ამის შემდეგ თავად იარცევსაც ველაპარაკე, უყოყმანოდ დათანხმდა ჩვენს წინადადებას და გადაწყვეტილებაც მივიღე. იმედი მაქვს, მისი მეცადინეობით ჩვენი ნაკრები შედეგიანად ჩაამთავრებს შესარჩევ ეტაპს" — თქვა კოლოსკოვმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

ნაკრებში იარცევის თანაშემწეები რინატ დასაევი, ალექსანდრ ბოროდიუკი და იუნორთა ნაკრების თავკაცი იგორ ჩუგაინოვი იქნებიან. გუნდის უფროსობას კი საფეხბურთო კავშირის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი ნიკიტა სიმონიანი გასწევს.

თავად იარცევი ვრცელ კომენტარს არ აკეთებს, ერთი კი თქვა, ნაკრებში ტიტოვს, მასტავოის, ალენიჩევსა და ესიპოვს დავაბრუნებო. ამით კი გაზაევისეული ბირთვი ძირეულად შეიცვლება და საქართველოს სხვა რუსეთი დახვდება. მით უფრო, რომ ნაკრებში დაბრუნების სურვილი გაზაევისგან შერისხულმა ვალერი კარპინმაც გამოთქვა. ამასობაში კი რუსთა საირლანდიო გაფართოებული, 28-კაციანი შემადგენლობაც გაცხადდა.

**პაატა ძვანტალიანი**

*მეკარეები: ოვჩინნიკოვი (ლოკომოტივი), მალოფეევი (ზენიტი), აკინფეევი (ცსკა);*
*მცველები: ონოპკო (რაიო ვალეკანო), სოლომატინი (ცსკა), კოვტუნი (სპარტაკი), ნიჟეგოროდოვი, ევსეევი, იგნაშევიჩი, სენიკოვი (ლოკომოტივი);*
*ნახევარმცველები: ხოხლოვი, ლოსკოვი (ლოკომოტივი), გუსევი (ცსკა), ტიტოვი (სპარტაკი), რადიმოვი, არშავინი (ზენიტი), ალდონინი, ესიპოვი (როტორი), მოსტოვოი (სელტა), ალენიჩევი (პორტუ), სემშოვი (ტორპედო), სმერტინი (ჩელსი), კარიაკა (კრილია);*
*თავდამსხმელები: კერჟაკოვი (ზენიტი), პავლიუჩენკო (სპარტაკი), კირიჩენკო (ცსკა), სიჩოვი (მარსელი), ბულიკინი (დინამო)*

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 5 ტური





ჯერ აუწყობელს აწყობილმა აჯობა: რევაზ არველაძე და იგო შუშაკი

# ჰოდა, მახსოვს, ბურთი მივიღე...

## შვილიშვილებისთვის მოსაყოლი ექვსი ამბავი

**სამ დღეს** გაწელილი მეხუთე ტური ისე მიილია, ფრე არ გაგორებულა ქართულ მოედნებზე. ოთხი მატჩი მასპინძლებისა იყო, სტუმართა ორი ზეობიდან ერთი კი გასაკვირი გამოდგა: „ბათუმმა" ნავსი გატეხა და საამჩემპიონატო პირველი ქულები მიითვალა.

„ბათუმი" წლეულს თავის თავს არ ჰგავს და ამიტომაც იყო უჩვეულო ზღვისპირელთა ოზურგეთული წარმატება. დებიუტანტი „მერცხალი" შინაურ კედლებში ზოგჯერ იკორტნება კიდეც თან ქომაგიც ენერგიული ჰყავს მატჩიც იმგვარად წარიმართა, სტუმართათვის საოცნებო დასასრული რომ მოჰყვა — „ბათუმმა" მართლაც სასწაულებრივ მოიგო.

ქომაგთა თხოვნით დავბრუნდით, თქვა ასლან ბალაძემ და ვალერიან ჩხარტიშვილს შეუამხანაგდა სათადარიგოთა სკამზე. იღბლიანი გამოდგა ასლანის ფეხი. მატჩის ერთადერთი გოლი ივანე მახარაძემ მასპინძელთა ბობოქარ საგოლე იერიშებს შორის გაიტანა.

ამ თამაშის წინ ვშიშობდით, ოზურგეთულ მატჩს სკანდალი არ მოჰყოლოდა. სტადიონი ბეწვზე გადაურჩა ცეცხლს — გვერდითი რუსიაშვილის აწეულ ალამს სტუმართა კარში არჩათვლილი გოლი მოჰყვა და ამან გურულები ისე გაახელა, პოლიციას რომ არ ეყოჩაღა, არც ერთი ტრავმატოლოგიური განყოფილება არ მიიღებდა მსაჯებს. ივანე მახარაძის ყარაულის თოფივით გასროლილმა „ბათუმს" „სპარტაკი" ჩამოატოვებინა, რომელიც ერთადერთია, დღემდე მოგება რომ არ უნახავს. აქვე ვთქვათ, დებიუტანტ თბილისელებს ერთობ გაუჭირდებათ გამარჯვების მოპოვება დარჩენილ მატჩებშიც, რაკილა მეტისმეტად ნორჩები არიან უმაღლესი ლიგისთვის. ვფიქრობ, სეზონის წინ „სპარტაკის" მესვეურებმა დიდი საკადრო შეცდომები დაუშვეს. უწვერულ ჯარისკაცებს გამოცდილი მეომრის გარეშე ომში არავინ უშვებს. „სპარტაკს" რომ ორი-სამი ასაკოვანი, გამოცდილ-დალვინებული ფეხბურთელი ჰყავდეს, ეგებ ამხელა ტვირთი არ დასწოლოდათ ახალგაზრდა ფეხბურთელებს. მოკლედ, ამ გუნდს საყრდენი ძალა სჭირდება, თორემ ტურიდან ტურამდე გამოცდილებაზე უფრო მარცხით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ ტვირთს აიკიდებს.

„კოლხეთთან" მატჩის დებიუტში მომენტების ბავშვურად გამცუდებელ თბილისელებს ფოთიდან თუნდაც ქულის წამოღების შანსი არ ჰქონიათ. ბევრისმნახველი თემურ ტუღუშის „ზემდეგობით" მასპინძლებმა უპრობლემოდ შეძლეს სამი ქულის ალება.

ტურიდან ტურამდე თბილისური „ვიტ ჯორჯია" ლიდერისთვის აუცილებელ თვისებებს იძენს. ვეტერინარებმა შაბათსაც იმგვარად იბურთავეს, რომ შანსი არ დაუტოვეს მეტოქეს. საკითხავი მხოლოდ მასპინძელთა გოლი იყო, თორემ ქუთაისელები რომ არ იყვნენ გამტანები, მათი თამაშიდანაც ჩანდა. ტექნიკური მარცვალაძით წელგამართული ვიტელები მართლაც იმსახურებდნენ გოლს. ზურაბ ბერიძის ბიჭებმა პირველ ტაიმში ქარს გატანებული პენალტიც დაივიწყეს და შედეგიც მოიმკეს. რიონივით ადიდებულ მეტოქეს ტორპედოელებმა ვერ გაუძლეს და გოცირიძემ სამი ქულა თავისიანებს დაუტოვა.

„პუხოვთან" ომის მოწადინე „სიონმა" „მცხეთას" [illegible] ნძლებს ჩვეული ჟინი და მონდომება არ დაუკლიათ მოსაგებად და გარჯაც დაუფასდათ, თუმც მესამეც რომ შეეგდოთ, ორმაგ პრემიას გამოჰკრავდა ხელს მახარაძის გუნდი. „სიონს" „პუხოვთან" მინიმუმ 3:0 სჭირდება და ამად იწევდა დიდი ანგარიშისკენ. „მცხეთა" კი, მიუხედავად წაგებისა, კვლავაც რჩება ჩემპიონატის აღმოჩენად. ქართული საზომითაც კი მოკრძალებულ პირობებში არიან დებიუტანტები. „სიონთან" სათამაშოდ ახალგაზრდები პირდაპირ სახლებიდან გაემგზავრნენ და ასეთ ვითარებაში სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი აბსურდულია. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ამ გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებს გაცილებით საქმიანი დამოკიდებულება და მეტი ყურადღება სჭირდებათ.

ბებერი ქურციკის ჟინით მოიგო „თბილისმა". „დილა" ტანმორჩილმა და გამოცდილმა სულიკო დავითაშვილმა წააქცია. „თბილისის" მესაჭეობა კი კვლავ ნიკოლოზ დოლიძემ გადაიბარა. მასპინძლებმა მძიმე ბრძოლაში გამოჭედეს სამი ქულა, „დილას" ბევრი მომენტი ჰქონდა და ქულასაც იმსახურებდა, თუმც ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ტურის ცენტრალური მატჩი შაბათს გაიმართა. „ლოკომოტივი" — „დინამო" უშელავათო და მწირგოლიანი გამოდგა. შუშკელებმა ჩვეული ფლანგური ხათქუნით გამოჭედეს გამარჯვების გოლი — ბობოხიძის საგოლე თავური კარლოსის ჩაწოდებულს მოჰყვა. გატანა მასპინძლებსაც შეეძლოთ, მაგრამ ექსდინამოელმა მიქაძემ ლამის პირითი ხაზიდან ცარიელ კარში ვერ შეაგდო.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ მეხუთე ტურში ექვსმა ფეხბურთელმა შეძლო სადებიუტო გოლის გატანა. პირველად გაიტანეს ისიანმა, მარლიშვილმა და ლონლაძემ. ბობოხიძის და მახარაძის გოლები სულაც გადამწყვეტი გამოდგა. კოლხი თემურ მალანია კი დებიუტანტ მევოლეთაგან დუბლით გამოირჩა.

**პაატა ქვანტალიანი**



„დინამომ" „ლოკომოტივს" შეტევები არ დააკლო




| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | სიონი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 6 | 11 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 |
| 2 | დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 11:2 | 9 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:0 | 9 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 11:4 | 7 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 10 | 9 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 |
| 4 | კოლხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:2 | 4 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 5 | თბილისი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:7 | 2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 3 | 1 | 0 | 3 | 6:5 | 1 | 3 |
| 6 | დილა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 7 | ლოკომოტივი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 1 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 |
| 8 | ტორპედო | 5 | 2 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 7 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 9 | მცხეთა | 5 | 2 | 1 | 2 | 6:13 | -7 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 2 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:10 | -9 | 1 |
| 10 | მერცხალი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 |
| 11 | ბათუმი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | -6 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 |
| 12 | სპარტაკი | 5 | 0 | 1 | 4 | 0:13 | -13 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:9 | -9 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 5 - ახალაია | დინამო |
| დავითაშვილი | თბილისი |
| 4 - გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| 3 - გონჩაროვი | სიონი |

**სტატისტიკა**

| ჯარ. | კუთხ. | კარისკენ | კარში | თამაშგ. |
|---|---|---|---|---|
| 87 | 20 | 27 | 33 | 17 |
| 68 | 48 | 59 | 46 | 13 |
| 70 | 31 | 37 | 41 | 21 |
| 81 | 17 | 24 | 27 | 24 |
| 109 | 25 | 24 | 26 | 22 |
| 83 | 26 | 25 | 24 | 10 |
| 76 | 16 | 22 | 18 | 8 |
| 65 | 26 | 27 | 30 | 13 |
| 80 | 12 | 21 | 20 | 18 |
| 106 | 16 | 20 | 15 | 15 |
| 77 | 14 | 15 | 11 | 11 |
| 88 | 18 | 24 | 12 | 13 |



ზურაბ ბერიძე
„ვიტ ჯორჯიას" კარგად თამადობს



მესამე და გამარჯვების გოლი ნიკოლა ანელკამ გაიტანა

# სიტი პირველია

## ინგლისი

### პრემიერლიგა. III ტური

**ბლეკბერნი 2:3 სიტი**

0:1 ტარნატი (4), 1:1 სინკლერი (44ს.კ.), 1:2 ბარტონი (59), 2:2 ამორუზო (61), 2:3 ანელკა (87)

ბლეკბერნი: ფრიდელი, ნილი, მ. ტეილორი, ლ. ამორუზო, გრეშკო, ემერტონი, ფლიტკროფტი (გრაბი 88), თუგაი, რიდი (ტომპსონი 64), ენდი კოული, იორკი (იანსენი 57)

მწვრთნელი: გრემ სუნესი

სიტი: სიმენი, ჟიხაი, სომეილი, დისტინი, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი, ბოსველტი, ბარტონი, სინკლერი, სიბიერსკი, ანელკა

მწვრთნელი: კევინ კიგანი

გაფრთხილება: თუგაი, ნილი, დისტინი

მსაჯი: უილი

23 361 მაყურებელი

ნიკოლა ანელკას გვიანმა გოლმა „მანჩესტერ სიტის" სტუმრად დაამარცხებინა „ბლექბერნი" და რამდენიმე დღით მაინც კევინ კიგანის გუნდი პრემიერლიგის სათავეში მოექცა.

მიხაელ ტარნატმა და ჯოი ბარტონმა ორჯერ დააწინაურეს სტუმრები, მაგრამ „ბლექბერნმა" ორჯერვე გაათანაბრა კუთხურებს მოყოლილი არეულობების შემდეგ. ერთი ტრევორ სინკლერმა შეაგდო თავის კარში მეკარე დევიდ სიმენთან შეუთანხმებლობის შემდეგ, მერე კი ლორენცო ამორუზომ, რომელმაც უკვე მეორედ გაიტანა „ბლექბერნში" გადასვლის შემდეგ.

ისე ჩანდა, რომ მასპინძლები ქულას მაინც მოიპოვებდნენ, მაგრამ ანელკამ მოახერხა და ფეხებსშუა გაუძვრინა ბურთი მეკარე ბრედ ფრიდელს ძალიან უხერხული კუთხიდან.

ფრიდელს პირველი გოლი ტარნატმა გაუტანა 30 მეტრიდან, საჯარიმო დარტყმით. მეკარემ ბურთი ვერ შეაჩერა.

ეს მეოთხე წუთზე მოხდა. მერე კი შანსები ორივე გუნდს ჰქონდა. მასპინძელთაგან სტივენ რიდს და დუაიტ იორკს შეეძლოთ გატანა, სტუმართაგან კი ანელკას. „სიტის" აკლდნენ დაშავებული რობი ფაულერი და პაულო სესარ ვანჩოპე და ანელკას კარგად ეხმარებოდა შონ საიტ-ფილიპსი. საქმე იქითკენ მიდიოდა, რომ ტაიმი სტუმრებს უნდა მოეგოთ, მაგრამ ბრეტ ემერტონის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი კარში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც სინკლერის თავს წაეცაცუნა და ხელგაშლილ სიმენს ასცდა.

შესვენების შემდეგ ბარტონმა ბურთი მოიგო საჯარიმოში და თავადვე გაიტანა, მაგრამ ამას მოჰყვა ემერტონის კიდევ ერთი კუთხური და ამორუზოს თავური სიმენისგან ახლო კუთხეში.

„ბლექბერნს" ამ თამაშის მოგებაც შეეძლო, მაგრამ წააგო — ანელკამ ამორუზოს აჯობა და „სიტიც" გამარჯვებული დარჩა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ჩელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ბლექბერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 9:6 | 4 |
| პორტსმუთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბირმინგემი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ევერტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ჩარლტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ტოტენჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ფულემი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| საუთჰემპტონი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ლიდსი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ნიუკასლი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ლესტერი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ასტონ ვილა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბოლტონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |
| მიდლსბრო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |
| ვულვზი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:9 | 0 |

### I დივიზიონი. IV ტური

**კრიუ 1:0 უოლსოლი**

1:0 ჯონსი (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრ. პალასი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:3 | 9 |
| ვესტ ბრომვიჩი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| რედინგი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| სტოკი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| მილუოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| კარდიფი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ქრიუ | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| სანდერლენდი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| უოლსოლი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:3 | 5 |
| შეფილდი | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| როტერჰემი | 4 | 1 | 2 | 1 | 1:2 | 5 |
| ჯილინგემი | 4 | 1 | 2 | 1 | 1:3 | 5 |
| ნორვიჩი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ბრედფორდი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| უიგანი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ვესტ ჰემი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| უიმბლდონი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| ნოტინგემი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ბარნსლი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:9 | 3 |
| ქოვენთრი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| იფსვიჩი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| პრესტონი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:6 | 1 |
| დერბი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:10 | 1 |
| უოტფორდი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | 0 |

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. V ტური

**ლიბერეცი 0:0 ბრნო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:5 | 13 |
| ბრნო | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| ტეპლიცე | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| სლავია | 5 | 3 | 1 | 1 | 7:2 | 10 |
| სპარტა | 5 | 2 | 3 | 0 | 9:2 | 9 |
| ლიბერეცი | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 9 |
| სიგმა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| პლზენი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| ჟიჟკოვი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| პრჟიბრამი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:6 | 5 |
| ზლინი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | 5 |
| იაბლონეცი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:7 | 5 |
| ოპავა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:11 | 4 |
| სინოტი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 |
| ბუდეიოვიცე | 5 | 0 | 1 | 4 | 2:11 | 1 |
| ბლშანი | 5 | 0 | 0 | 5 | 3:12 | 0 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XVII ტური

**ალიანსი 2:1 ტურკუ**

**ინტერი 4:1 ჰააპამენლინა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 17 | 13 | 2 | 2 | 41:6 | 41 |
| ჰიკ | 17 | 10 | 4 | 3 | 32:14 | 34 |
| ტამპერე | 16 | 10 | 3 | 3 | 27:10 | 33 |
| ალიანსი | 16 | 9 | 4 | 3 | 31:21 | 31 |
| მიუპა | 16 | 8 | 3 | 5 | 27:16 | 27 |
| ლაჰტი | 17 | 5 | 6 | 6 | 21:22 | 21 |
| ტურკუ | 17 | 5 | 5 | 7 | 20:24 | 20 |
| ოკერიტი | 17 | 5 | 5 | 7 | 19:23 | 20 |
| ჰამენლინა | 17 | 5 | 4 | 8 | 16:33 | 19 |
| ინტერი | 17 | 5 | 3 | 9 | 26:30 | 18 |
| იარო | 17 | 3 | 7 | 7 | 21:29 | 16 |
| კტპ | 16 | 5 | 1 | 10 | 23:33 | 16 |
| ჯაზი | 17 | 4 | 3 | 10 | 19:42 | 15 |
| კუოპიო | 17 | 3 | 4 | 10 | 20:40 | 13 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. XIX ტური

**იოსტერი 4:4 ჰამარბი**

**იორგრიტე 1:0 სუნდსვალი**

**ელფსბორგი 1:1 ენჩიოპინგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 18 | 13 | 1 | 4 | 42:14 | 40 |
| მალმიო | 19 | 10 | 5 | 4 | 40:16 | 35 |
| ჰამარბი | 19 | 10 | 5 | 4 | 33:26 | 35 |
| ჰალმსტადი | 19 | 10 | 3 | 6 | 33:23 | 33 |
| იორგრიტე | 19 | 9 | 3 | 7 | 28:30 | 30 |
| ჰელსინგბორგი | 19 | 8 | 3 | 8 | 22:28 | 27 |
| აიკ | 19 | 7 | 5 | 7 | 27:28 | 26 |
| გიოტებორგი | 17 | 7 | 4 | 6 | 23:15 | 25 |
| იორებრო | 18 | 7 | 4 | 7 | 21:25 | 25 |
| ელფსბორგი | 19 | 5 | 7 | 7 | 19:26 | 22 |
| ლანდსკრონა | 19 | 5 | 7 | 7 | 17:25 | 22 |
| იოსტერი | 19 | 3 | 6 | 10 | 20:34 | 15 |
| სუნდსვალი | 19 | 2 | 8 | 9 | 16:29 | 14 |
| ენკოპინგი | 19 | 2 | 5 | 12 | 18:40 | 11 |

## სლოვენია

### სლოვენია. მობილლიგა

მე-6 ტური: ნოვა გორიცა — დომჟალე 3:0; დრავოგრადი — სმარტნო 1:4; მურა — კოპერი 0:1; პუბლიკუმი — პრიმორიე 2:4; მარიბორი — ლუბლიანა 2:1

## აშშ

### MLS. XXI ტური

ლოს ანჟელესი — ნიუ ინგლენდი 2:1 (დ.დ.); დალასი — კოლამბუსი 1:2; ნიუ იორკი — ჩიკაგო 1:2; სან ხოსე — ვაშინგტონი 1:0

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XVIII ტური

**ბრანი 6:1 სოგნდალი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსენბორგი | 18 | 14 | 3 | 1 | 46:13 | 45 |
| ბოდიო გლიმტი | 18 | 10 | 4 | 4 | 27:17 | 34 |
| ოდ გრენლანდი | 18 | 9 | 3 | 6 | 34:26 | 30 |
| სოგნდალი | 18 | 8 | 5 | 5 | 32:28 | 29 |
|ვიკინგი | 18 | 6 | 8 | 4 | 32:24 | 26 |
| სტაბეკი | 18 | 6 | 7 | 5 | 26:24 | 25 |
| ლილესტრიომი | 18 | 6 | 6 | 6 | 21:24 | 24 |
| ბრანი | 18 | 5 | 7 | 6 | 31:31 | 22 |
| ბრინი | 18 | 7 | 1 | 10 | 28:34 | 22 |
| მოლდე | 18 | 6 | 3 | 9 | 21:28 | 21 |
| ვოლერენგა | 18 | 4 | 7 | 7 | 19:22 | 19 |
| ლინი | 18 | 4 | 4 | 10 | 19:34 | 16 |
| ტრომსიო | 18 | 4 | 4 | 10 | 21:40 | 16 |
| ალესუნდი | 18 | 3 | 6 | 9 | 19:31 | 15 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. II ტური

**ბეირა მარი 0:2 ბოავიშტა**

0:1 რიკარდო სოუზა (36), 0:2 რიკარდო სილვა (42)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 6 |
| მარიტიმუ | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| პორტუ | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბენფიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ბოავიშტა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| აკადემიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ნასიონალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| მორეირენსე | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ალვერკა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ფერეირა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| გიმარაეში | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ბრაგა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ამადორა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჟილ ვისენტე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| რიუ ავე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბელენენსეში | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| ბეირა მარი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| ლეირია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა. IV ტური

**ნიურნბერგი 2:2 კოტბუსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი | 4 | 4 | 0 | 0 | 8:2 | 12 |
| მაინცი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:6 | 8 |
| ნიურნბერგი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| კოტბუსი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| ბურგჰაუზენი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ტრირი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:8 | 7 |
| ობერჰაუზენი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 6 |
| კარლსრუე | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 6 |
| დუისბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ალემანია | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| რეგენსბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:6 | 5 |
| ლიუბეკი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:4 | 4 |
| არმინია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| ფიურტი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | 4 |
| ოსნაბრიუკი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| უნიონი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:5 | 3 |
| აუე | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | 3 |
| ალენი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | 3 |

## ისლანდია

### პრემიერ დივიზიონი

მე-15 ტური: აკრანესი — ვალური 2:0; აკურეირი — ფრამი 0:1; რეიკიავიკი — ფილკირი 4:0; თროტური — გრინდავიკი 2:3; პაფნარფიორდური — ვესტმანაეიარი 2:1

# ადრიანს ლაჩრობს ადრიან

„ჩელსის" ვარსკვლავი, რუმინელი ადრიან მუტუ ცოლს ებრძვისო?

ლონდონელთა 15,8 მილიონ გირვანქიან შენაძენს, თურმე, ნუ იტყვით და, მსახიობ მეუღლესთან, ალექსანდრასთან გაყრის საძაგელი პროცესი უდგას და ამ პროცესში 11 თვის მარიოც საშინლადაა გარეული — ცოლ-ქმარი ბავშვის თავისთან დასატოვებლად ნაბიჯს არ უთმობს ერთმანეთს. ადრიანს, ბუნებრივია, მარიოს ლონდონში წაყვანა სურს.

მუტუს ვექილი ფლორინ გატეჯანი: „ადრიანს თავისი ბავშვი უყვარს და პირადად მოუვლის, ალექსანდრა და მისი ვექილი საჯაროდ ცრუობენ, თითქოს ადრიანს ბავშვი არ აინტერესებდეს. პირიქით, მას სურს თავად გაზარდოს ვაჟი".

მუტუმ ვექილებს განუცხადა, რომ მისთვის ბავშვის ცოლისთვის წართმევა ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო ალექსანდრა იმტკიცება, რომ ადრიანი თავიდან უარს ამბობდა შვილზე, ხოლო, როდესაც საქმე გახმაურდა, შეშინდა და საპირისპიროს მტკიცება დაიწყო. ალექსანდრა ქმარს ლაჩარს უწოდებს.

ალექსანდრას ვექილი, კატალინ დანკუ: „თუ ადრიან მუტუს დაცვა სჭირდებოდა, ამის შესახებ ლაჩრულად ადვოკატის პირით არ უნდა შეეტყობინებინა ცოლისთვის".

**პაპუნა ძიძია**



ადრიან მუტუ შვილს ვერ თმობს


## სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# გამოცანა ფერნანდოს
## ჰაინკესმა მორიენტესს კონტრაქტი გაუგზავნა



**ფერნანდო მორიენტესი** ევებ გერმანულ ბუნდესლიგაში გადავიდეს. ვარსკვლავებით გადაძეძგილ „რეალში“ „ელ მოროს“ სულის მოსათქმელი სივრცეც აღარ რჩება და ამით გელზენკირხენის „შალკე 04“-მა მშვენივრად ისარგებლა. „შეთანხმება „რეალთან“ თითქმის მიღწეულია. ახლა გადამწყვეტი სიტყვა თავად ფეხბურთელზეა. ჩვენთან ხელმოსაწერი კონტრაქტი მორიენტესს უკვე მაგიდაზე უდევს“ — ამცნო საფეხბურთო სამყაროს „შალკეს“ მენეჯერმა, წარსულში სახელგანთქმულმა მობურთალმა ენდი მიოლერმა. მაშ, ასე, მიუხედავად მორიენტესის „რეალისადმი“ დიდი ამაგ-სიყვარულისა „ელ მოროს“ კასტილიასთან გამომშვიდობება ალბათ მაინც მოუწევს. თანაც ალემანურ-კასტილიურ მიმოსვლაში გელზენკირხენელთა ახლანდელი მწვრთნელი და ფერნანდოს ყოფილი დამრიგებელი იუპ ჰაინკესიც აქტიურადაა ჩართული. შეგახსენებთ, სწორედ ამ მაესტროს თამადობით შეძლო მადრიდის „რეალმა“ სრული 32-წლიანი უდაბნო-პაუზის შემდეგ, 1998-ში ჩემპიონთა ლიგის მოგება. ფერნანდო მორიენტესი კი ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს. არცაა გასაკვირი, ახლა „ელ მოროს“ საკმაოდ მწვავე საკითხი ექნება გადასაწყვეტი — რა სჯობია, გალაქტიკურ სამეფო გუნდის უპაერო სივრცეში ფარფატი თუ თუნდაც არაჯადოსნურ, მაგრამ სტაბილურ „შალკეს“ გერმანულად საიმედო მინდორზე მყარად დგომა?

**ლადო ხომერიკი**

*„ბარსელონაში“ კიდევ ერთი ახალი ტრანსფერი მზადდება — ლონდონის „არსენალის“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში „ბარსას“ შემადგენლობაში ჩაირიცხება*

# კარგი მარცხენა ლონდონშია
## ბარსელონამ ვან ბრონკჰორსტი გაათბო



კატალონიელთა ვიცე-პრეზიდენტი სანდრო როსელი ამჟამად ინგლისში იმყოფება და „მეთოფეთა“ თავკაცებს ჯოვანის ესპანეთში გადმობარგებაზე ეთათბირება. სენიორ როსელიმ ამ რამდენიმე დღის წინ კატალონიურ ინჩასობას მტკიცედ აღუთქვა, რომ „საბარსელონო-სატრანსფერო“ პერიოდი გაგრძელდებოდა და აი, თავისი დაპირება 28 წლის ნიდერლანდელი მობურთალითაც „შეამაგრა“ — ესპანური „სპორტის“ ცნობით, ვან ბრონკჰორსტის „ბარსაში“ თამაში თითქმის გადაწყვეტილია.

ძველ შეგირდსა და მეგობარს თავდებად „ბარსას“ ახლანდელი და ჰოლანდიის ნაკრების ძველი დამრიგებელი ფრანკ რაიკარდი დაუდგა. „ბრონკჰორსტს ძალიან კარგად ვიცნობ, თავისი საქმის ჩინებული პროფესიონალია. ჩვენი გუნდის უფროსობას მარცხენა მცველის ადგილზე მის გარდა რამდენიმე სხვა კანდიდატის განხილვაც სურდა, თუმცა ჩემი დაჟინებული თხოვნით, ჯოვანის შეძენა გადავწყვიტეთ. ბოლო პერიოდში იგი „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება და თანაც ვიცი, რომ „ბარსელონაში“ თამაშის დიდი სურვილიც აქვს“— უთხრა რაიკარდმა „მარკას“. ვან ბრონკჰორსტი თავიდან როტერდამის „ფეიენოორდში“ თამაშობდა, შემდეგ შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსში“ გააგრძელა კარიერა, ხოლო ორი წლის წინ 14 მილიონი ევროს საფასურად „ჰაიბერიზე“ გადავიდა. ლონდონში ჰოლანდიელს არ გაუმართლა. გამუდმებულმა ტრამვებმა ოდენ სათადარიგოთა სკამს დააძმაკაცა და ჯოვანიმაც ნისლიან-ალბიონური პრემიერლიგის უფრო თბილ, ესპანურ-პირინეულ პრიმერადივიზიონში გაცვლა გადაწყვიტა. „ახლა ჩემით რამდენიმე ევროპული კლუბია დაინტერესებული, მათ შორის ფრანგული პსჟ-ც, მაგრამ ამ ეტაპზე ყველაზე გამართლებულად კატალონიური ვარიანტი მირჩევნია“ — თავდაჯერებულად განაცხადა ვან ბრონკჰორსტმა. ხუან ლაპორტას დირექციამ კი ფრანკ რაიკარდის ყოფილ მოწაფეს ნარინჯისფერთა ნაკრებში „ბარსაში“ ერთწლიანი გარჯისთვის 1 მილიონი ევრო აღუთქვა. რაც შეეხება ჯოვანის ლონდონურ კლუბთან სანდრო როსელის ემისრობას, აქ 7 მილიონ ევროზეა ლაპარაკი. ტრანსფერი ალბათ მალე შედგება, რითაც „ბარსელონაც“ იხეირებს და განსაკუთრებით თავად ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი.

**ლადო ხომერიკი**



# კილი გაშავდა და გალურჯდა

კრისტიან ალბერტო გონსალესი უახლოესი სამი წლის განმავლობაში მილანის „ინტერის“ მობურთალი იქნება. ეს ამბავი საფეხბურთო სამყაროს მარსელო ლომბიამ ამცნო, უკვე ექსვალენსიელი გონსალესის აგენტმა. ბოლო ჟამს „მესტალიას“ ინჩასების საყვარელი ფეხბურთელი რომის „ლაციოში“ იმყოფებოდა, იქამდე კი „ვალენსიაში“ დიდი გზა გაიარა: იქ 4 წლის განმავლობაში პრიმერადივიზიონში, სამეფო თასზე, სუპერთასზე, ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასზე 134 მატჩი ითამაშა და 15 გოლი გაიტანა. თავისი ბოლო სეზონი „მესტალიაზე“ კილიმ ტრავმების გამო საკმაოდ უფერულად ჩაატარა — წინა პრიმერას 13 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და აქედან ორში თუ დაყო სრული 90 წუთი მოედანზე. არგენტინელს გუნდის ხელმძღვანელობასთანაც ვერ ჰქონდა შეხმატკბილებული ურთიერთობა, რადგან, მისი აზრით, „ვალენსიას“ თავკაცნი ჯეროვნად ვერ აფასებდნენ და სხვადასხვა ფინანსურ ოპერაციაში იყენებდნენ. ამჟამად კი „მესტალიაზე“ საქმიანობის პერიოდი ისტორიას ჩაბარდა. კრისტიან ალბერტო გონსალესი, თავისი თანამემამულისა და ოდინდელი დამრიგებლის, ექტორ რაულ კუპერის მსგავსად, უკვე „ინტერის“ ღირსების მცველია.

**ლადო ხომერიკი**

# ახდენილი ოცნებების წელი იწყება
## სოლარი ყველგან, ოღონდ ლაციოში

**რომის „ლაციო“** ენრიკო კიეზას გაშვების შემდეგ ახალ ფორვარდს ეძებს. რომაელებს ურუგვაელი ხავიერ ერნესტო ჩევანტონი ჰყავდათ შეგულებული, მისმა კლუბმა, „ლეჩემ“, 10 მილიონი ევრო მოითხოვა და რომაელებმაც სხვებზე მიაპყრეს მზერა. თუმც სასურველ ფეხბურთელს მაინც ვერ მიაგნეს და კვლავ ჩევანტონს მიუბრუნდნენ.

23 წლის ურუგვაელი უკვე რამდენიმე წელია, „ლეჩეს“ ღირსებას იცავს და ამ ხნის მანძილზე მან კლუბთან ერთად სერია A-დან გავარდნაც მოასწრო და უკან დაბრუნებაც. ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ახალგაზრდა ფორვარდი „ლაციოში“ ამოყოფს თავს.

„ლაციოში“ გადასვლა ჩემთვის ახდენილი ოცნება იქნება. ჯერ კიდევ სამშობლოში თამაშისას, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ წლების შემდეგ ჩემით ასეთი დონის კლუბი დაინტერესდებოდა. იქ ჩემი თანამემამულე რუბენ სოსა თამაშობდა და ძალიან მიხარია, რომ მისი გზის გაგრძელება მიწევს. „ლეჩესთან“ ერთად სერია A-სა და სერია B-ში გატარებული თითო სეზონის შემდეგ ვფიქრობ, მზად ვარ, ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადასადგმელად“ — განაცხადა ჩევანტონმა.

ამჟამად „ლაციოს“ თავდასხმაში კლაუდიო ლოპესი, ბერნანდო კორადი და სიმონე ინძაგი ჰყავს. თუ ურუგვაელი დედაქალაქურ კლუბში გადავა, ბუნებრივია, თავიდან გაუჭირდება ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება, მაგრამ ჩევანტონს ეს სრულებითაც არ აწუხებს.

„ბერნანდო კორადი, კლაუდიო ლოპესი და სიმონე ინძაგი ჩემთვის სამაგალითო ფეხბურთელები არიან. მათგან ბევრ რამეს ვისწავლი და ამავე დროს ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვის ვიბრძოლებ. თუმცა ჯერ არსად მეჩქარება და შემიძლია, მოვითმინო“ — აღნიშნა ურუგვაელმა.

გარდა ამისა, რომაელები სანტიაგო სოლარის შეძენასაც აპირებენ. მადრიდის „რეალმა“ იმდენი ვარსკვლავი იყიდა, რომ არგენტინელის ადგილი „სამეფო კლუბის“ სათადარიგოთა სკამზე თუ გამოინახება. ამიტომ, ალბათ ყველასთვის აჯობებს, სოლარიმ გუნდი გამოიცვალოს.



რობერტო მანჩინი

შეგახსენებთ, რომ ერთი ხანს, 26 წლის ნახევარმცველით სერიოზულად იყო დაინტერესებული მილანის „ინტერი“, მაგრამ „შავ-ლურჯებმა“ მიზანს ვერ მიაღწიეს. ახლა კი არგენტინელის გადაბირებასთან ძალიან ახლოს რომის „ლაციოა“. იქიდან გამომდინარე, რომ სოლარი ფაქტობრივად, უნივერსალია, რობერტო მანჩინი მას გამთამაშებლობას უპირებს.

**გიორგი ძაძაგაძე**

# გაგიღიმებთ და გოლებს გავიტან
## თუ ჩხუბია, ჩხუბი იყოს

*ახლა, როდესაც ესპანეთის ჩემპიონატი სადაცაა გასახდელიდან გამოვარდება და ცხრათვიან შოუს შემოგვთავაზებს, ყურადღების ამ ქვეყნის კლუბებზე, მით უფრო კი რეკლამირებულ და ბექემიზირებულ „რეალზე“ შეჩერება, ვფიქრობთ, უპრიანი იქნება, თუმცა, ვინაიდან ისევ ბექემის მოსმენამ შესაძლოა ნამდვილი აპათია გამოიწვიოს, მოდით, მრავალ ასპექტთაგან სხვას გავუსვათ ხაზი: კაპიტანი! მოდით, მისი თვალებით შევხედოთ მოვლენებს*




„რეალის“ კაპიტანი რაულია, კაცი, რომელიც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ლეგენდად 17 წლისა, მოედანზე გამოჩენის პირველი წამიდან შერაცხეს და მას მერე ეთაყვანებიან. დღეს რაული 26 წლის არის — ასეთი ახალგაზრდა კაპიტანი მადრიდელებს არასდროს ჰყოლიათ. მან სამკლავური მეგობრისა და მენტორისგან, ფერნანდო იეროსგან ჩაიბარა.

*„რა თქმა უნდა, მუდმივად დღევანდელ დღეზე უნდა ვიფიქროთ, მაგრამ ფერნანდო იეროს და მის მიერ გუნდისთვის გაწეულ ამაგს დაფასება და დამახსოვრება უნდა — განაცხადა „სამეფო კლუბის“ მეშვიდე ნომერმა — იერომ „რეალის“ ისტორიაში დაიმკვიდრა ადგილი და მისგან სამკლავურის ჩაბარება პატივად მიმაჩნია. ფერნანდო დიდი კაპიტანი და დიდი კაცია, რომელმაც წლების განმავლობაში ბევრი მასწავლა“.*

აღსანიშნავია, რომ 26 წლის კაპიტანი იმავდროულად რეკორდსმენიც გახლავთ, მას ჩემპიონთა ლიგაში ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი.

*„როგორც ადამიანს, კაპიტნობა ვერ შემცვლის. ერთადერთი, თუ ამიერიდან უწინდელზე ხშირად მნახავთ გაღიმებულს, ეს იმიტომ მოხდება, რომ ფეხბურთელების წარმომადგენლობა დამეკისრება, რასაც დიდი სიამოვნებით ვკისრულობ. რაც შეეხება იმ დროს, როდესაც მოედანზე ვიქნები, ბუნებრივია, თამაშზე ფიქრს და გოლების გატანას შევალევ“.*

რაულის დიდ მიღწევათაგან აღსანიშნავია ესპანეთის ოთხგზის ჩემპიონობა, ჩემპიონთა ლიგის სამჯერ მოპოვება, ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასის და ერთხელ უეფას თასის მოგება, ხოლო ესპანეთის თასი... გნებავთ, ჩამოთვლილ ჯილდოებთან შედარებით მეორეხარისხოვანი ეძახეთ, რაულს სწორედ ის აკლია.

*„ამ სეზონში სწორედ სამეფო თასის მოგება მინდა. რაც „რეალში“ ვარ, კლუბს ეს ჯილდო არასდროს მოუგია და მისი დაუფლება ჩემი ერთ-ერთი უდიდესი სტიმული გახლავთ, რაც, ასეთი ძლიერი გუნდით სრულიად შესაძლებელია. დიახ, ამ შემადგენლობით ყველაფრის მოგება შეიძლება, თუმცა მედალს მეორე მხარე აქვს — ფეხბურთი ჩამოწერილ გვარებზე გაცილებით მეტია, აქ ყველაფერი მუშაობაზეა დამოკიდებული. განა არ გვინახავს შემთხვევები, როდესაც ნაკლები შესაძლებლობების მქონე გუნდები მეტს აღწევენ? ფეხბურთი ხომ მეცნიერება არ არის და მასში ყოველ შეხვედრას ფინალსავით უნდა მიუდგე“.*

მაგრამ, მთლად ბექემის გარეშეც არ ივარგებს:

*„დღეს ყველამ იცის, რომ მსოფლიოში ჯარიმების საუკეთესო ოსტატი ჩვენთან თამაშობს, თუმცა მერწმუნეთ, იგი მხოლოდ ჯარიმების ოსტატზე მეტი უნდა იყოს. ხალხმა იგი მიიღო, როგორც ფულის მანქანა, მაგრამ ამ დიდებულ ფეხბურთელს უსამართლოდ ნუ მოვექცევით. ის გონიერი და კარგი ადამიანია. იგი „რეალს“ ისევე გააძლიერებს, როგორც თავის დროს ზიდანმა, ფიგუმ და რონალდომ გააძლიერეს“ — განაცხადა კაპიტანმა, რომელიც ახალი მწვრთნელით, პორტუგალიელი კარლუშ კეირუშითაც კმაყოფილი ჩანს:*

*„ახალი მწვრთნელი ურთიერთობების დიდოსტატია. მე, მაგალითად, მის გარემოში თავს უკვე მოხერხებულად ვგრძნობ. ვატყობ, რომ მოთამაშეებისა ესმის და მჯერა, რომ ამ სეზონში გამარჯვებამდე მიგვიყვანს“.*

რას ნიშნავს რაულის ეს ნათქვამი? მართლა შეატყო რასაც ამბობს და გულწრფელია, თუ დიპლომატია მოითხოვს ასეთი სიტყვების თქმას? ალბათ, ცოტა ერთიც და ცოტა მეორეც. ისე, კი, როდესაც დედამიწამ შეიტყო, რომ მადრიდის „რეალმა“ თანამდებობიდან გაათავისუფლა ვისენტე დელ ბოსკე და მის მაგივრად კარლუშ კეირუში მიიყვანა, ყველას ძლიერ გაუკვირდა, რადგან ერთადერთი, რასაც ამ კაცზე ამბობდნენ ის გახლდათ, რომ იგი „მანჩესტერ იუნაიტედში“ მუშაობდა ალექს ფერგიუსონის თანაშემწედ — ეს იყო და ეს.

თუმცა, კეირუშის სამშობლოში, პორტუგალიაში, ხალხმა ამ 50 წლის სპეციალისტის შესახებ მეტი იცის. კერძოდ, იციან, რომ მას უმუშავია აშშ-ში, იაპონიაში, სამხრეთ აფრიკაში და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, თუმცა ყველაფერზე მთავარი ის არის, რომ მის სახელს უკავშირდება ეგრეთწოდებული „ოქროს თაობის“ აღზრდა — ლაპარაკია იმ პორტუგალიელებზე, რომელთაც ახალგაზრდათა 1989 და 1991 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე ტიტული მოიპოვეს. კიდევ უფრო მარტივად, ლაპარაკია ფიგუზე, რუი კოშტაზე, ფერნანდო კოუტუზე, ჟოაუ პინტუზე და ამალაზე.

„მადრიდში გადასვლის გამო სულაც არ მაქვს რაღაც განსაკუთრებული სიმაღლის მიღწევის შეგრძნება. ამ თანამდებობაზე მოსვლას განვიხილავ, როგორც ხანგრძლივი მოგზაურობის პირველ ნაბიჯს ან პირველ ნაბიჯს ძნელად ასასვლელი მთის მწვერვალისკენ — ამბობს კარლუშ კეირუში — ძალიან მშვიდი ადამიანი გახლავარ, თავში დარწმუნებული. მწამს, რომ გავამართლებ იმ ხალხის იმედს, ვინც ძალიან მენდო“.

კეირუშს დიდი მემკვიდრეობა, ტვირთი ერგო. მისი წინამორბედი, ვისენტე დელ ბოსკე ორჯერ ესპანეთის ჩემპიონი გახდა და ორჯერ ჩემპიონთა თასის მფლობელი. ახლა, პორტუგალიელს, ესტაფეტის მიღება და გაგრძელება მართებს.

საინტერესოა, რომ მწვრთნელს „რეალში“ ორი ნაცნობი, პორტუგალიელი ფიგუ და ინგლისელი ბექემი დახვდა და ეს მოთამაშეები სწორედ ისინი გახლავან, ვინც, თითქოსდა, მარჯვენა ნახევარმცველობის გამო ერთმანეთის კონკურენტები უნდა გამხდარიყვნენ.

„აშკარაა, რომ მათ სხვადასხვა პოზიციაზე უნდა ითამაშონ ოღონდ ისე, რომ რაიმე არც ერთმა დათმოს და არც მეორემ. ბექემის საგანგებო სარგებელი ისიც იქნება, რომ იგი კლუბს ბრიტანულ მენტალიტეტს შემატებს“ — განმარტა კეირუშმა, რომელსაც ხშირად ეკითხებიან, შეძლებს თუ არა ამდენი ვარსკვლავის გუნდში თავის გართმევას, მაშინ როდესაც გარშემო პრესა, დირექტორატი, ფედერაცია და სხვა ხალხი, ფაქტობრივად, ჩასაფრებული ეყოლება.

*„მწვრთნელი ვარ, ქურუმი კი არა. ჩემი საქმეა გადაწყვეტილებები მივიღო და მათ მიხედვით გამსაჯონ. დავალების მიცემა და მიზნის დასახვა იოლი საქმეა. გადაწყვეტილებები კი ჩემი მისაღებია. ვიცი, ამ გადაწყვეტილებათა შორის იქნება ისეთიც, ტკივილს და კონფლიქტს, ან დაძაბულობას რომ გამოიწვევს. კონფლიქტი არ მიყვარს, რადგან გაწონასწორებული ადამიანი ვარ, მაგრამ როდესაც კონფლიქტია, არ ვიმალები, რადგან მწამს, რომ ჩემი პოზიცია მართალი იყო და უნდა დავიცვა, რადგან ხელფასს ამ პოზიციების და გადაწყვეტილებების გამო მიხდიან“* — პასუხობს მწვრთნელი.

**ბაკუნა ძედია**

# მე ისევ დიეგოლი ვიქნები
## ლოპერატიული ინფორმაცია ტრისტანზე ცრუ აღმოჩნდა

*როი მაკაის წასვლის შემდეგ გალისიურ „დეპორტივოში“ ბურთი და მოედანი (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) მარად ჭირვეულ დიეგო ტრისტანს შერჩა. ანდალუზიელი ანჩხლი ფორვარდი მომავლის იმედებითაა აღსავსე და 2003-04 წლების პრიმერაში ესპანეთის საუკეთესო მეგოლეობასაც უმიზნებს. ტრისტანს „მარკას“ ჟურნალისტები გაესაუბრნენ*

**— მილიონი ევროს ფასი შეკითხვით დავიწყოთ — ჩიპიონაში ყოფნისას „ბეტისის“ პრეზიდენტ ლოპერას თუ შეხვდით?**

— აჰა, ვიცოდი, ამას შემეკითხებოდით. გიპასუხებთ — ჩიპიონაში მარტო დასასვენებლად ვიყავი და იქ საქმიანი მოლაპარაკებებისთვის არ მეცალა. ძალიან მიყვარს, როდესაც არდადეგებს ოჯახთან ერთად ვატარებ, უდიდესი ენერგიით ვიმუხტები ხოლმე. ლოპერა კი სადმე რომ შემხვედროდა, სატრანსფერო ვაჭრობას არა, მაგრამ კაი ლუდის სმას ნამდვილად გავუმართავდი!

**— მიუხედავად იმისა, რომ „ბეტისში“ თქვენი გადასვლით სევილიელები მათთვის მეტად საჭირო ვარსკვლავურ ტრანსფერს იზეიმებდნენ...**

— ახლა ამ „ვარსკვლავურ ტრანსფერებზე“ დიდი საინფორმაციო აჟიოტაჟია ატეხილი. მომბეზრდა უკვე ამდენი ხმაური, ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლა ამხელა ჟივილ-ხივილს არ უნდა იწვევდეს.

**— ამას წინათ ხავიერ ირურეტამ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენზე უკმაყოფილოდ ილაპარაკა.**

— როდესაც მწვრთნელს რომელიმე ფეხბურთელის შესახებ ეკითხებიან, მან რაღაც უნდა უპასუხოს — ან დადებითი ან უარყოფითი. არ ვიცი, ირურეტამ ჩემზე რა ილაპარაკა, პირადად მე მასთან საკონფლიქტო და საკამათო არაფერი მაქვს.

**— ისეთ ფსიქოლოგიურ წნეხს თუ გაუძლებდით, რაც ახლა დევიდ ბექემის წილხვედრია?**

— გინდა, არ გინდა, სხვანაირად თანამედროვე ფეხბურთი წარმოუდგენელია. სხვა საქმეა, ამა თუ იმ მობურთალს წნეხსაწინააღმდეგო რა მეთოდი აქვს შემუშავებული. მე და მრავალი სხვა მოთამაშე დევიდის ცხოვრებას თვალყურს ვადევნებთ და გამოგიტყდებით, მიკვირს, როგორ ახერხებს იგი ასეთი გიჟური დღის განრიგის შემდეგ ნორმალურ ფეხბურთელად და ადამიანად დარჩენას.



დიეგო ტრისტანი

**— „დეპორტივო“ სეზონთაშორისში მთლად გადასარევი თამაშით ვერ დაიკვეხნიდა. ჩემპიონთა ლიგის შესარჩევებში რა განწყობით იბრძოლებთ?**

— ჩვენი გუნდი ყოველთვის გადამწყვეტ მატჩებზეა ორიენტირებული. ასე რომ, გალისიური ფლაგმანის ძალის ამხანაგური თამაშებით გაზომვა არასწორი იქნება. როცა დრო მოვა და ნამდვილი ჯილდოსთვის ბრძოლაში ჩავებმებით, მაშინ ყველა დაინახავს, „დეპორს“ რა შეუძლია.

**— ინაკი საესი და ხავიერ ირურეტა დიეგო ტრისტანისგან ბევრ გოლს ითხოვენ. მზადა ხართ ამ გამოწვევის მისაღებად?**

— თუ ხელი შემიწყო იმ ფაქტორებმა, რომლებიც ჩემთვის ძლიერ მნიშვნელოვანია, პრიმერადივიზიონის მთავარი მეგოლის ტიტულს აუცილებლად დავიბრუნებ. ყველა ჩემს გულშემატკივარს შეუძლია, მშვიდად იყოს — ამ სეზონში გოლების დიეტაზე ყოფნას ნაღდად არ ვაპირებ.

**— ესე იგი, თვლით, რომ სავსებით მზად ხართ და მეგოლეობაში ხელს ვერავინ შეგიშლით?**

— ეს ისეთი ჯილდოა, რომლის მოპოვებასაც ყველა თავდამსხმელი ცდილობს. ორი წლის წინ ეს უკვე შევძელი და ვიმედოვნებ, მსგავსს დამდეგ პრიმერაშიც გავიმეორებ. ჩემი მთავარი ამოცანა კი „დეპორტივოში“ და ესპანეთის ნაკრებში კარგი თამაშია.

**— წლეულს პრიმერადივიზიონში გადამწყვეტ როლს რომელი მობურთალი შეასრულებს?**

— ვფიქრობ, ასეთი ყოველთვის გამოჩნდება. რონალდო და ზიდანი მომწონს, მაგრამ არ დაგავიწყდეთ — ბურთების შეგდება ხუან ვალერონსაც შეუძლია. თუ მომავალ პრიმერაში საქმე კარგადააწყო, ვალერონი მართლაც დიდებულად ითამაშებს. ასევე აღსანიშნავია ხესუს პერერას ბურთაობაც. ამ ბიჭმა წინა სეზონი სეგუნდადივიზიონის მეგოლედ დაასრულა.

# სანტოსი ძველ პირველს იბრუნებს

## ბრაზილია

### XXVIII ტური

**სანტოსი — ფლამენგო 2:1; ატ. პარანენსე — ფორტალეზა 3:1; გოიასი — კრუზეირო 1:0; გრემიო — სან კაეტანო 0:0; ვასკუ და გამა — სან პაულუ 3:2; პაისანდუ — პონტე პრეტა 3:2; პარანა — ფლუმინენსე 2:0; ვიტორია — ჟუვენტუდე 3:0; ფიგეირენსე — კურიტიბა 1:2; გუარანი — კრისიუმა 1:0; კორინთიანსი — ინტერნასიონალი 3:1; ატ. მინეირო — ბაია 1:0**

აი, რა მოხდა: „სანტოსმა" 2:1 მოუგო „ფლამენგოს" და ბრაზილიის ჩემპიონატის ცხრილს სათავეში ჩაუდგა.

რვა მაისიდან მოყოლებული, ამ უქმეებამდე, ანუ სამთვენახევარს ჩემპიონატს „კრუზეირო" ლიდერობდა, მაგრამ ვანდერლეი ლუშემბურგოს მელიებმა, რომლებსაც იანვრიდან აგვისტომდე ორადორჯერ წაეგოთ, „გოიასთან" 0:1 დათმეს და ლიდერობაც დაკარგეს. საერთოდ კი, „კრუზეირომ" ბოლო ექვს ტურში ერთადერთხელ მოიგო და ამით ბრწყინვალედ ისარგებლა შარშანდელმა ჩემპიონმა „სანტოსმა".

„სანტოსი" მხნედ გამოიყურებოდა და თავისი გენიოსის, დიეგუს „ტოტენჰემში" გადასვლა-არგადასვლის გაუთავებელ საქმეს გუნდის გუნება არ წაუხდენია. უკვე 22-ე წუთზე „სანტოსი" ორი ბურთით უგებდა ბრაზილიის ყველაზე პოპულარულ კლუბს, რომელსაც 25 მილიონი გულშემატკივარი ჰყავს. ელანამ მე-13 წუთზე დააწინაურა ვილაბელმირელი თევზები, მერე კი ალეშმა გაიტანა ოცდაათი მეტრიდან, რადგან „მენგოს" მეკარე ჟულიო სესარს ჩამოეძინა. თუმც, მეკარემ მალე იფხიზლა და დიეგუსა და რობინიოს დარტყმები მოიგერია. ედილსონმა შესვენების შემდეგ გაქვითა ერთი გოლი პენალტის ნიშნულიდან, მაგრამ „ფლამენგომ" მეტი ვერ შეძლო.



კორინთიანსი — ინტერნასიონალი. ვილსონი მასპინძლებს დუბლით შეეწია

„კრუზეირომ" რამდენჯერმე მოგვცა შანსი და, ცხადია, გამოვიყენეთ", თქვა „სანტოსის" მწვრთნელმა ემერსონ ლეაომ. დიეგომ კი, რომელსაც ბრაზილიური სეზონის ბოლომდე არსად წასვლა არ უნდა, განაცხადა: „ჩვენ ტიტულს დავიცავთ".

„კრუზეიროს" მესაფლავე კი ჩემპიონატის მთავარმეგოლე, გოიასელი დიმბა გამოდგა, რომელმაც პენალტი გახერხა და თავადვე გაიტანა 38-ე წუთზე. ეს იყო დიმბას მე-20 გოლი 28 ტურში, „კრუზეირომ" კი თამაში ათი კაცით გააგრძელა, რადგან სწორედ ამ პენალტის გამო ედუ დრაჩენა გააძევეს.

ამასობაში კი „სან პაულუმ" ხელიდან გაუშვა „კრუზეიროს" ჩამოტოვების შანსი, რადგან 2-3 წააგო „ვასკო და გამასთან". დისკვალიფიკაციაგამოვლილმა ლუიშ ფაბიანუმ დუბლი კი შეასრულა, მაგრამ გუნდი ვერ იხსნა.

ვასკოელთა გამარჯვების გოლი ედმუნდომ გაიტანა.

კვლავ ბოლო ადგილზეა სასიკვდილოდ დაჭრილი „გრემიო", რომელმაც უგოლო ფრე მოახერხა „სან კაეტანოსთან".

ეს იყო ადილსონ ბატისტას, სეზონში „გრემიოს" რიგით მეოთხე მწვრთნელის დებიუტი. ამ სეზონში „გრემიოს" პირველი მწვრთნელი ტიტე კი ახლა „სან კაეტანოს" მწვრთნელია.

„კორინთიანსმა" მეორე ტაიმში სამი გოლი გაუტანა „ინტერნასიონალს" და 3:1 მოუგო ვილსონის დუბლითა და ჟოს დამაგვირგვინებლით, მაგრამ ხალხმა მაინც უსტვინა ათვალწუნებულ მწვრთნელ ჟენინიოს.

### ლუჟაუ დუ მოუბაკაუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 28 | 16 | 6 | 6 | 52:31 | 54 |
| კრუზეირო | 28 | 15 | 7 | 6 | 58:36 | 52 |
| სან პაულუ | 28 | 14 | 8 | 6 | 50:37 | 50 |
| კურიტიბა | 28 | 14 | 7 | 7 | 46:32 | 49 |
| ინტერნასიონალი | 28 | 13 | 6 | 9 | 41:34 | 47 |
| ატ. მინეირო | 28 | 11 | 10 | 7 | 49:41 | 43 |
| კრისიუმა | 28 | 12 | 6 | 10 | 37:34 | 42 |
| სან კაეტანო | 28 | 10 | 12 | 6 | 28:22 | 42 |
| კორინთიანსი | 28 | 10 | 11 | 7 | 45:33 | 41 |
| გუარანი | 28 | 11 | 7 | 10 | 41:39 | 40 |
| პარანა | 28 | 11 | 6 | 11 | 48:41 | 39 |
| ფლამენგო | 28 | 10 | 8 | 10 | 41:45 | 38 |
| ფიგეირენსე | 28 | 10 | 7 | 11 | 31:35 | 37 |
| ვიტორია | 28 | 10 | 7 | 11 | 35:41 | 37 |
| ატ. პარანენსე | 28 | 10 | 6 | 12 | 38:38 | 36 |
| პაისანდუ | 28 | 9 | 9 | 10 | 50:50 | 36 |
| ვასკუ და გამა | 28 | 9 | 9 | 10 | 35:41 | 36 |
| გოიასი | 28 | 8 | 10 | 10 | 42:42 | 34 |
| პონტე პრეტა | 28 | 8 | 10 | 10 | 38:45 | 30 |
| ჟუვენტუდე | 28 | 6 | 8 | 14 | 26:47 | 29 |
| ბაია | 28 | 7 | 7 | 14 | 29:47 | 28 |
| ფლუმინენსე | 28 | 7 | 6 | 15 | 30:48 | 27 |
| ფორტალეზა | 28 | 7 | 5 | 16 | 32:48 | 26 |
| გრემიო | 28 | 6 | 6 | 16 | 26:41 | 24 |

# ბოკამ დაისვენა და მაინც ლიდერად დარჩა

## არგენტინა

### აპერტურა. IV ტური

**ნუევა ჩიკაგო — ოლიმპო 1:1; რასინგი — როსარიო 2:2; ტალიერესი — სან ლორენსო 0:3; ლანუსი — ხიმნასია ლა პლატა 0:0; ჩაკარიტა — ველეს სარსფილდი 1:0; ესტუდიანტესი — არსენალი 0:0; ატლეტიკო — კოლონი 1:1; ინდეპენდიენტე — რივერ პლეიტი 2:2; ნიუელს ოლდ ბოისი — კოლმესი 2:1**

ჩილელმა თავდამსხმელმა მარსელო სალასმა თავისი პირველი გოლი გატანა „რივერ პლეიტში" დაბრუნების შემდეგ, თუმცა კლაუსურას ჩემპიონმა კვლავ ვერ მოიგო, 2:2 დაამთავრა მატჩი „ინდეპენდიენტესთან" და ოთხი ტურის თავზე ცხრილის ქვედა ნაწილშია ჩაფლული.

სალასმა თავური შეაგდო მეორე ტაიმის ხუთწუთიან მონაკვეთში, როცა შეხვედრის ოთხი გოლიდან სამი გავიდა.

„ინდეპენდიენტე" კრისტიან სიმენსმა დააწინაურა 54-ე წუთზე, თუმცა სალასმა იქვე გაათანაბრა და ამას ორასიო ამელის გოლიც მოჰყვა, რამაც სტუმარი „რივერი" დააწინაურა."

ბოლო ორი მატჩი „რივერს" წაგებული ჰქონდა და ისე ჩანდა, რომ გამარჯვებით უსვამდა წერტილს უიღბლობას, მაგრამ ასე არ მოხდა: ხერემიას კაიანომ ბოლო წუთზე გაათანაბრა.

ეს ტური გამოტოვა ლიდერმა და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონმა „ბოკა ხუნიორსმა", რომელიც სამი თამაშიდან სამი მოგებით მაინც პირველ ადგილზეა. „ბოკა" — „ბანფილდი" მოგვიანებით გაიმართება, რადგან პარასკევს ბოკელები ბარსელონას სტუმრობდნენ ამხანაგური თამაშის გასამართად.

„ნიუელს ოლდ ბოისმა" 2:1 მოუგო ახალგადმოსულ ლუდისმხდელთა გუნდ „კილმესს". თამაში მგზნებარე გამოვიდა, რადგან „კილმესს" შეეძლო, თუნდაც ერთი კვირით გადაესწრო ლიდერისთვის. კოლუმბიელმა ხულიან ვასკესმა პირველივე წუთზე დააწინაურა „ნიუელსი". ნახევარ საათში ამას აგუსტინ ალაიესის ავტოგოლი მოჰყვა და „კილმესი" უკვე ორი ბურთით აგებდა, როცა პაბლო გარნიერმა ერთი ბურთი გაქვითა ტაიმის ბოლოს და თამაშიც ჩხუბისკენ წავიდა. ლუდისმხდელი ლეანდრო ლესაბატო და ნიუელსელი არიელ როსადა პირველ ტაიმშივე გააძევეს, მეორეში კი მათ კილმესელი დიეგო სებალოსი მიჰყვა. ასე რომ, „კილმესმა" წააგო და ხუთეულის ბოლო გუნდად დარჩა.

**ონორიო ბუსტოს დომეკი**



მარსელო სალასი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| ინდეპენდიენტე | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| ნიუელს ოლდ ბოისი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 8 |
| ჩაკარიტა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| კილმესი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| ატლეტიკო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| კოლონი | 4 | 1 | 3 | 0 | 6:2 | 6 |
| რასინგი | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| ესტუდიანტესი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| როსარიო | 4 | 1 | 2 | 1 | 4:7 | 5 |
| ბანფილდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:1 | 4 |
| სან ლორენსო | 4 | 1 | 1 | 2 | 4:3 | 4 |
| ლანუსი | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 4 |
| რივერ პლეიტი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| ტალიერესი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:9 | 4 |
| არსენალი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| ხიმნასია ლა პლატა | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| ოლიმპო | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| ნუევა ჩიკაგო | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| ველეს სარსფილდი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |

# სხვისი ფეხები სხვის ნაღებში



ტრევორ ბრუკინგი

„ვესტ ჰემი" პრემიერლიგაში უნდა დაბრუნდესო — ახალი, მაგრამ დროებითი მწვრთნელი, თბილისელთათვის ნაცნობი ტრევორ ბრუკინგი თავის ფეხბურთელებს, „აზრზე მოსასვლელად" ორ თამაშს აძლევს. თბილისელთა და ტრევორ ბრუკინგის ნაცნობობა მარტივი არ არის, რთულია: ჯერ იყო და, შორეულ 1981 წელს, თასების თასის მეოთხედფინალში, თბილისის „დინამოს" სწორედ ის „ვესტ ჰემი" შეხვდა, რომელშიც ბრუკინგი თამაშობდა. მაშინ „დინამომ" „ვესტ ჰემი" თავის ბრუკინგიანად შთამბეჭდავად დაამარცხა, ხოლო ამ ამბიდან 16 წლის შემდეგ, როდესაც ინგლისის ნაკრები უკვე დამოუკიდებელ საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ ჩამოვიდა და წინა დღეებში, ტრადიციისამებრ, ბურთი ორი ქვეყნის ჟურნალისტებმა გააგორეს, ბრუკინგს, როგორც ჟურნალისტს... მოხვდა! რა და როგორ, ამას ახლა ნუღარ გავიხსენებთ.

ერთი სიტყვით, ტრევორ ბრუკინგი თავისი კლუბის დროებითი მწვრთნელი მას მერე გახდა, რაც კვირას თანამდებობა გლენ როიდერმა დატოვა.

„ჩვენს ფეხბურთელებს მეტი თავდადება მართებთ, თორემ პრემიერლიგაში დაბრუნება კი არა, პირველ დივიზიონშიც გაგვიჭირდება. ჩვენ გვჭირდება ხალხი, რომელიც გუნდისთვის სისხლს დაღვრის და ფანებიც სწორედ ამას ითხოვენ" — ამბობს ბრუკინგი, რომელიც ოთხი თვის წინაც ასრულებდა ამ, დროებითი მწვრთნელის ფუნქციას, ვინაიდან მაშინ როიდერს ტვინში სიმსივნე აღმოუჩინეს (გონება დაკარგა) და საექიმო იყო. დღეს ბრუკინგი აცხადებს, რომ უახლოესი ორი შეხვედრა, „ბრედფორდ სიტისა" და „იფსვიჩ თაუნთან" გადამწყვეტი იქნება. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ორი მატჩის შემდეგ, „რედინგთან" შეხვედრამდე, „ვესტ ჰემი" ორი კვირით ისვენებს და ამ დროის განმავლობაში მწვრთნელს უფრო დინჯად შეუძლია იფიქროს.

„ჩვენ მიზნად პრემიერლიგაში დაბრუნება უნდა დავისახოთ და ძალღონე საამისოდ უნდა მივმართოთ — ამბობს ბრუკინგი — ახალმა ფეხბურთელებმა ჯერ არ იციან, რას ნიშნავს ფანობა, ხალხის ღრიალი და, ბუნებრივია, თავიდან გაუჭირდათ".

„ვესტ ჰემმა", რომელმაც ფინანსური სირთულეების გადასაწყვეტად გაყიდა საუკეთესო ფეხბურთელები, პირველი დივიზიონის პირველ ტურში, „პრესტონს" 2:1 მოუგო, მაგრამ მეორეში, შინ, „შეფილდ იუნაიტედთან" 0:0 ითამაშა, ხოლო მესამეში, „როტერჰემთან" სტუმრად 0:1 წააგო.

ზემოთ გასული სეზონის მიწურული ვახსენეთ, როდესაც ბრუკინგმა დაავადებული როიდერის თანამდებობა სამი თამაშით ჩაიბარა და მიუხედავად შვიდი ქულისა, გაგდებისგან ვერ იხსნა.

„რთული ვითარებაა, კარგად მესმის, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ გლენის ფეხსაცმელში თავს მოუხერხებლად ვგრძნობ. საქმე ძნელია, პრობლემური და ვინც მწვრთნელობას დათანხმდება, თავადაც ძლიერი უნდა იყოს და ძლიერ ადამიანებს უნდა ენდოს კიდეც" — განაცხადა კაცმა, რომელიც საქმეში დიდი ხნით დარჩენას უარობს.

ამბობენ, რომ საქმეს ხელს იან დაუი მოკიდებს, „ვესტ ჰემის" ოდინდელი ფორვარდი, რომელიც ამწუთას მეორე დივიზიონის „ოლდემ ატლეტიკსში" მუშაობს. მანამდე კი:

„ამასობაში ჩვენ ქომაგები უნდა დავიბრუნოთ, რათა მათ მხარი დაუჭირონ ახალგაზრდა ბიჭებს. ბოლოს და ბოლოს, „აპტონ პარკი" ნამდვილი მაშინაა, როდესაც ხალხი მხარში გიდგას" — ამბობს ბრუკინგი.

**პაპუნა ძიძია**



# აბა, რას გვეტყვი კლაუდიო?

## მეც არ ვიცი, რას ვაკეთებ, აბრამოვიჩმა იცის



*ფულს ბევრი რამ შეუძლია, ბევრ ფულს კიდე უფრო მეტი. აბრამოვიჩმა „ჩელსი“ იყიდა და ახალი პატრონის პატივსაცემად „სტემფორდ ბრიჯზე“ მატჩის წინ რუსულ „კალინკას“ უკრავენ. ასე იყო პრემიერლიგის მეორე ტურში, „ჩელსი“ — „ლესტერის“ შეხვედრის დაწყებამდე. ნამატჩევს კი კლაუდიო რანიერი ლონდონში ჩასული რუსი ჟურნალისტის რესპონდენტი გახლდათ. ქვემოთ მათი საუბრის შინაარს გთავაზობთ*

**— რუსი ბიზნესმენისგან „ჩელსის“ აქციათა ყიდვის ამბავი რომ შეიტყვეთ, ხუმრობა ხომ არ გეგონათ?**

— არა. „ჩელსის“ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყველაფერი ვიცოდი, ხუმრობისთვის არავის ეცალა. რომან აბრამოვიჩი რომ არა, ახლა უმძიმეს ვითარებაში ვიქნებოდით. ვალების გასასტუმრებლად რამდენიმე კარგი მოთამაშის გაყიდვას ვერ ავცდებოდით. კარგად მახსოვს ის დღე. საფრანგეთში ვიყავი, ჩემს ავტოს მივაგელვებდი, როცა კლუბის დირექტორმა ტრევორ ბრენჩმა დამირეკა და მითხრა: „კლაუდიო, სანამ ახალ ამბავს გეტყვი, მანქანა სადმე გააჩერე. ჩვენ „ჩელსი“ გავყიდეთ“.

**— ამ გარიგების შემდეგ თქვენს საუბრებში სიფრთხილე შეიმჩნეოდა...**

— ეს ლოგიკურია. ჩემი მომავალი გაურკვეველი იყო, მაგრამ აბრამოვიჩთან პირველივე შეხვედრამ სრულიად დამაწყნარა.

**— ხშირად ხვდებით ახალ პატრონს?**

— თითქმის ყოველდღე. როცა ის ლონდონშია, ჩვენ აუცილებლად ვხვდებით ერთმანეთს და ფეხბურთზე ვლაპარაკობთ.

**— შემადგენლობის გაძლიერება კარგია, მაგრამ ამიერიდან შეიძლება მცირედი წაფორხილებაც არ გაპატიონ. ახლა უფრო მეტ ზეწოლას გრძნობთ?**

— ვერ ვიტყვი, რომ რაღაც გართულდა, ან გაიოლდა. კმაყოფილი ვარ აქაურობით, რადგან ყოველთვის სუპერკლუბში მუშაობაზე ვოცნებობდი. სუპერკლუბის მისაღებად ლონდონიდან ფეხის მოცვლაც არ დამჭირდა. წარუმატებლობის შემთხვევაში თავის გასამართლებლად არგუმენტების ძებნას არ დავიწყებ. მე ნედლეული მსურდა, რომლისგანაც ზემძლავრ გუნდს შევქმნიდი. ახლა საამისოდ ყველაფერი მაქვს.

**— ამ სეზონში პრემიერლიგის მოგებას აპირებთ?**

— ის, რაც „ჩელსიში“ მოხდა, თავისთავად სერიოზული განაცხადია, დანარჩენი კი ფეხბურთელებმა მოედანზე უნდა დაამტკიცონ. ახლა მთავარი შეთამაშებაა, ერთ გუნდში თერთმეტი ვარსკვლავის თავშეყრა შედეგს ვერ მოიტანს. თუნდაც „ლივერპული“ გავიხსენოთ. პრემიერლიგაში მეორე ადგილის დაკავების შემდეგ კიდევ რამდენიმე მოთამაშით გაძლიერდნენ, მაგრამ სეზონის ბოლოს მეხუთე ადგილს ვერ ასცდნენ.

**— კონკრეტულად რა მიზნები გაქვთ?**

— დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. ალექს ფერგიუსონს კარგი გუნდის ასაშენებლად ოთხი წელი დასჭირდა. ჩვენ ვფიქრობ, რომ საამისოდ შედარებით ნაკლები დრო დაგვეხარჯება, მაგრამ კონკრეტულ ვადებს ვერ დაგისახელებთ. გუნდი მანქანა ხომ არაა, ის ცოცხალი ორგანიზმია და წინასწარმეტყველება ძნელია.

**— შემადგენლობასთან ერთად თქვენ ტაქტიკასაც ცვლით. ყოველმხრივ მოქნილი „ჩელსი“ გსურთ თუ საუკეთესო ვარიანტს ეძებთ?**

— ტაქტიკას ყოველი მომდევნო მატჩისთვის საგანგებოდ ვირჩევ. ცვლილებები მომავალშიც იქნება. გულშემატკივრებს და მეტოქეებსაც არაერთ სიურპრიზს შევთავაზებთ.

**— ვერონზე თქვით, რომ ის მსოფლიოში საუკეთესოა და მოედანზე თავისუფლება უბოძეთ. გუნდის ლიდერობა მას დააკისრეთ?**

— ლიდერობას ვერავის დავაკისრებ. ეს წოდება თამაშით უნდა მოიპოვა. ვერონისგან ძალიან ბევრს ველი, თუმც ამჟამად „ჩელსის“ ჯიგარი მარსელ დესაია.

**— ადრიან მუტუს და ერნან კრესპოს შეძენა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის წასვლას დააჩქარებს?**

— როგორ გეკადრებათ. ჯიმის არსად გავუშვებთ. შესაძლოა, რომელიმე სხვა ფორვარდი გავანათხოვროთ. ჰასელბაინკი ჩვენთან დარჩება, რადგან კარგ გუნდს რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად საომრად 11 კი არა, 22 მაღალი კლასის ფეხბურთელი სჭირდება.

**— ეს ნიშნავს, რომ სათადარიგოთა სკამს ბევრი მაღალი კლასის მოთამაშე დაამშვენებს?**

— რატომ გიკვირთ? ჯან ფრანკო ძოლა ბოლოს სულ შეცვლაზე თამაშობდა, მაგრამ მოედანზე ასი პროცენტით იხარჯებოდა. ნებისმიერმა ფეხბურთელმა საკუთარი ამბიციები კლუბის ინტერესებს უნდა დაუქვემდებაროს.

**— სახეცვლილი „ჩელსის“ დებიუტით კმაყოფილი ხართ?**

— დიახ. ზედიზედ ორი მატჩი მოვიგეთ და საკუთარი ძალების რწმენა შეგვემატა. რა თქმა უნდა, წუნი გვაქვს, მაგრამ ჩემი გუნდის ნამდვილი შესაძლებლობები ჯერ არავინ იცის. მათ შორის მეც.

**— იტალიაში და ესპანეთში გიმუშავიათ, ინგლისიც დააჭაშნიკეთ. სად უფრო ძლიერი ჩემპიონატია?**

— რთული კითხვაა და ცალსახად ვერ განვსჯი. სამივე ქვეყანას თავისებური ხიბლი აქვს. პირადად მე ინგილისი მირჩევნია, რადგან აქ კონტინენტიდან საუკეთესო თვისებები გადმოიტანეს. პრემიერლიგაში არიან გუნდები, რომლებიც იტალიურ დაცვას ეტრფიან, ესპანელებივით ბურთის თრევის მოყვარულებსაც ნახავთ და, ცხადია, ყველა ინგლისური ბრძოლისუნარიანობითაა შეზავებული.

**— „ჩელსის“ რომელ კატეგორიას მიაკუთვნებთ?**

— მსურს, რომ ჩემს გუნდში ევროპის საუკეთეო კლუბთა თვისებები შევაზავო: „რეალის“ ფანტაზია, „იუვენტუსის“ ჟინი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბრძოლის წყურვილი. „ჩელსის“ საკუთარი ხელწერა ექნება და იმედი მაქვს, რომ სხვებისთვის მისაბაძი ვიქნებით.

# სახლში მინდა

## იანკერს იტალია მოსწყინდა

**„უდინეზეს“** გერმანელმა ფორვარდმა კარსტენ იანკერმა სამშობლოში დაბრუნების სურვილი გამოთქვა. იგი წინა სეზონში შეუერთდა იტალიურ კლუბს, თუმც „ფრიულის“ ბინადართათვის თავის თანამემამულე ოლივერ ბირჰოფის მეათედიც არ გაუკეთებია. წინა ჩემპიონატში იგი მხოლოდ ერთი გოლით შეეწია თავის გუნდს.

„იმედი მაქვს, გერმანიაში დავბრუნდები. ვფიქრობ, ბუნდესლიგაში ვითამაშებ“ — თქვა იანკერმა.

არ არის გამორიცხული, მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილმა ფორვარდმა კარიერა ლევერკუზენის „ბაიერში“ გააგრძელოს. თუმც სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ხუთ დღეზე ნაკლები დარჩა, რაც იანკერის გერმანიაში დაბრუნების შანსებს ერთიორად ამცირებს.

ამასობაში იანკერის ამჟამინდელმა კლუბმა, ფაქტობრივად, უკვე გაყიდა განელი მცველი მოჰამედ გარგო. აფრიკელი ფეხბურელი „ფიორენტინას“ მაისურას მოირგებს.

ამ ტრანსფერზე „უდინეზეს“ სპორტული დირექტორ პიერპაოლო მარიონოს კომენტარი ასეთია: „გარგო უკვე „ფიორენტინას“ მოთამაშეა. მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაშია. მართალია, ჯერ კიდევ რაღაც საკითხებს ვაზუსტებთ, მაგრამ საბოლოო შეთანხმების მიღწევა არ უნდა გაგვიჭირდეს“.

# ფავას ფავორიტი იუვენტუსია

**სერია B-ს კლუბები** — „პალერმო“ და „ფიორენტინა“ — დინო ფავათი არიან დაინტერესებულნი, თუმც მათ სერიოზული კონკურენტი ჰყავთ. 26 წლის ფორვარდს არც მეტი, არც ნაკლები, იტალიის ჩემპიონი ტურინის „იუვენტუსიც“ აკვირდება.

ფავამ გასული სეზონი სერია B-ში „ტრიესტინაში“ ჩაატარა და 22 გოლი გაიტანა, თუმც წლეულს მისმა ყოფილმა კლუბმა, სერია C1-ის ბინადარმა „ვარეზემ“, იგი უკან დაიბრუნა. ფავას კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს გუნდთან, ამიტომ „ვარეზესთვის“ მასთან ახლავე განშორება მომგებიანია.

„იუვენტუსი“ კი ისევ თავდამსხმელს ეძებს. როგორც ჩანს, ტურინელებს ბოლონიელ რიკარდო კრუზთან არაფერი გამოუვათ, რადგან ამ უკანასკნელთან შეთანხმების მიღწევას „ინტერი“ ცდილობს. თუმც „ბებერმა ქალბატონმა“ რუბენ ოლივერას „პარმაში“ განათხოვრებით ჯერ კიდევ უცნობ ფეხბურთელს უკვე გაუთავისუფლა ადგილი.

სავსებით შესაძლებელია, რომ მარჩელო ლიპის გუნდში ზემოთ ხსენებული უცნობი ფეხბურთელის ადგილი დინო ფავამ დაიკავოს, მაგრამ არც „ფიორენტინა“ და „პალერმო“ აპირებენ ხელის ჩაქნევას.

**გიორგი ძაძამიძე**

**„რომა“ — „ბეტისის“** გუშინწინ გამართული ამხანაგური თამაშის 37-ე წუთზე რომაელთა კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ სევილიელთა ნახევარმცველ კაპისთან შეჯახებისას ტრავმა მიიღო. სტადიონიდან იგი პირდაპირ საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც გაირკვა, რომ ტოტის დაახლოებით ორი კვირა დასვენება მოუწევს.

სერია A-ს პირველი ტურის მატჩში („უდინეზესთან“) დისკვალიფიკაციის გამო ტოტი ისედაც ვერ ითამაშებდა. ჯოვანი ტრაპატონის კი ნამდვილად ჰქონდა მისი იმედი. სექტემბრის დასაწყისში ხომ იტალიის ნაკრებს ევრო 2004-ის შესარჩევ ჯგუფში ორი უმნიშვნელოვანესი თამაში ელის უელსთან და სერბეთთან, მაგრამ ახლა „სკუადრა აძურას“ რომაელის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა.

აქვე ვთქვათ, რომ „რომასა“ და ფაბიო კაპელოს საბოლოოდ მოუწევთ ფერნანდო მორიენტესის დავიწყება, რადგან დიდი შანსია, ეს უკანასკნელი ლევან კობიაშვილს შეუერთდეს და „შალკეს“ მაისურა მოირგოს.

რომაული კლუბი კი „ინტერთან“ ქიშპობასა და კრუზისთვის ბრძოლას აპირებს. „რომას“ ეიმედება, რომ „ბოლონია“ იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველ გაეტანო დაგოსტინოსა და გარკვეული თანხის სანაცვლოდ არგენტინელ ფორვარდს სწორედ მას დაუთმობს.

**გიორგი ძაძამიძე**

# იტალიას ტოტი მოუშტმხეს



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

### ინგლისი. პრემიერლიგა. III ტური
27 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 005 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 006 | არსენალი-ასტონ ვილა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 24.00 | 007 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 24.00 | 008 | მანჩესტერი-ვულვერჰემპტონი | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| | 009 | მანჩესტერი-ვულვერჰემპტონი 0:1 | 1,3 | 4,0 | 5,0 | | | |

### ინგლისი. I დივიზიონი. IV ტური
27 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 027 | ქოვენტრი-ნოტინგემი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |

### გერმანია
### ბუნდესლიგა. IV ტური
27 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.45 | 117 | ჰანოვერი-ჰანზა | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |

### გერმანია
### რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). V ტური
27 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 119 | ვატენშაიდი-კილი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 22.30 | 120 | ბრაუნშვაიგი-ესენი | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |

### ფინეთი
### ვეიკაუსლიგა. XIV ტური
28 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 437 | ტამპერე-იარო | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |

### მექსიკა
### აპერტურა. II ტური
27 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 627 | პუებლა-ატლასი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 05.00 | 628 | მონტერეი-ვერაკრუსი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |

### ესპანეთი
### სუპერ თასი. II მატჩი
27 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.45 | 692 | რეალი-მალიორკა | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |

### ნორვეგია
### თასი. 1/4 ფინალი
27 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 694 | ბოდიო გლიმტი-ალესუნდი | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |
| 21.00 | 695 | ტრომსიო-რაუფოსი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 21.00 | 696 | ვოლერენგა-სკეიდი | 1,5 | 4,0 | 5,6 | 1,09 | 1,18 | 2,33 |

### იაპონია. თასი
### 1/4 ფინალი. II მატჩები
27 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 697 | ტოკიო-ურავა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 15.00 | 698 | ივატა-იოკოჰამა | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 15.00 | 699 | ნაგოია-კაშიმა | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 15.00 | 700 | გამბა-შიმიცუ | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |

### ჩემპიონთა ლიგა
### III ეტაპი. II მატჩები
27 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 705 | ლოკომოტივი-შახტარი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 22.30 | 706 | ცსკა(ს)-გალათასარაი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.05 | 707 | კოპენჰაგენი-რეინჯერსი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.30 | 708 | აიაქსი-გრაცერი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.30 | 709 | აეკ-გრასჰოპერი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.30 | 710 | დორტმუნდი-ბრიუგე | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.45 | 711 | დინამო(ზ)-დინამო(კ) | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 23.45 | 712 | სელტიკი-მტკ | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 23.45 | 713 | სლავია-სელტა | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 23.45 | 714 | ნიუკასლი-პარტიზანი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.50 | 715 | მარსელი-აუსტრია | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| 01.00 | 716 | ბენფიკა-ლაციო | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |

### უეფას თასი
### I ეტაპი. II მატჩები
27 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 717 | ქენისი-ქიეკოვი | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 19.00 | 718 | ატლანტასი-გროცლინი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 17.30 | 719 | სიონი(ბ)-პუხოვი | 2,5 | 3,1 | 2,35 | 1,38 | 1,21 | 1,33 |
| 18.00 | 720 | შირაქი-ნორდსიელანდი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,22 |
| 19.00 | 721 | სარტიდი-სარაევო | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 722 | ბანანცი-ჰაპოელი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 19.30 | 723 | ბელასიცა-პუბლიკუმი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| 20.00 | 724 | დუდელანჟი-პეტრჟალკა | 5,6 | 3,6 | 1,55 | 2,19 | 1,21 | 1,08 |
| 20.00 | 725 | ნისტრუ-ცრვენა ზვეზდა | 4,6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| 20.00 | 726 | ტორპედო(ქ)-ლანსი | 4,2 | 3,4 | 1,7 | 1,87 | 1,21 | 1,13 |
| 20.00 | 727 | დნიპრო-ვადუცი | 1.1 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,19 |
| 20.00 | 728 | მეტალურგსი-დინამო(ბქ) | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1.3 |
| 21.00 | 729 | ვარტექსი-ლევადია | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 21.00 | 730 | ტალინი-ოდენსე | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 21.00 | 731 | პლოცკი-ვენტსპილსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 21.30 | 732 | ლევსკი-ატირაუ | 1.15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 21.45 | 733 | მაკაბი-ქუიმბრანი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 22.00 | 734 | ზიმბრუ-ლიტექსი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.00 | 735 | ანორთოსისი-ველეხნიჩარი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1.72 |
| 22.00 | 736 | ლინი-რუნავიკი | 1,1 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,19 |
| 22.00 | 737 | დებრეცენი-ეკრანასი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.15 | 738 | სანტა კოლომა-ესბიერგი | 10.0 | 5,0 | 1,2 | 3,33 | 1,07 | 1 |
| 22.30 | 739 | სტიაუა-ნემანი | 1,17 | 5,3 | 11,0 | 1 | 1,05 | 3,57 |
| 22.30 | 740 | იანგ ბოისი-მიუპა | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 22.30 | 741 | გრინდავიკი-კერნტენი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 23.00 | 742 | დინამო(მნ)-ბრიონდბიუ | 2,8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| 23.00 | 743 | კამენი-ეტცელა | 1,05 | 8,0 | 17,0 | 1 | 1 | 5.44 |
| 23.00 | 744 | კლაკსვიკი-მოლდე | 5,0 | 3,8 | 1,55 | 2,15 | 1,18 | 1,1 |
| 23.00 | 745 | ფილკირი-აიკ | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| 23.00 | 746 | ფერენცვაროში-ბირკირკარა | 1,04 | 9,0 | 17.0 | 1 | 1 | 5,88 |
| 23.00 | 747 | დერი-აპოელი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 23.15 | 748 | ჰაიდუკი-ჰაკა | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 23.15 | 749 | ქსამაქსი-ვალეტა | 1.05 | 8,0 | 16,0 | 1 | 1 | 5,33 |
| 23.30 | 750 | ლოკერენი-დინამო(ტ) | 1,1 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,19 |
| 23.30 | 751 | დომანიანო-ტორპედო(მ) | 15.0 | 6,5 | 1,1 | 4,53 | 1,02 | 1 |
| 23.30 | 752 | დანდი-ვლაზნია | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 23.30 | 753 | პორტდაუნი-მალმიო | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |
| 23.45 | 754 | ტნს-სიტი | 17,0 | 7,0 | 1,07 | 4,95 | 1 | 1 |
| 23.45 | 755 | შელბურნი-ოლიმპია | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 24.00 | 756 | კატოვიცე-ცემენტარნიცა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 01.00 | 757 | ლეირია-კოლრეინი | 1,1 | 6,5 | 15,0 | 1 | 1,02 | 4,53 |

### უეფას სუპერთასი (მონაკოში)
29 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 761 | მილანი-პორტუ | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |

### მჩ 17 წლამდე (ფინეთში)
27 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 762 | ბრაზილია-კოლუმბია | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 22.00 | 763 | არგენტინა-ესპანეთი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 27 აგვისტო | | | | | | |
| 23.45 | 5005 | არსენალი-ასტონ ვილა | 1.5 | 3,2 | 7,0 | 1,02 | 1,23 | 2,19 |
| 24.00 | 5006 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1,9 | 2,3 | 5,6 | 1,04 | 1,41 | 1,63 |
| 24.00 | 5007 | მანჩესტერი-ვულვერჰემპტონი | 1,15 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,04 | 3,71 |
| 21.45 | 5008 | ჰანოვერი-ჰანზა | 2,2 | 2,2 | 4,6 | 1,1 | 1,48 | 1,48 |
| | | 29 აგვისტო | | | | | | |
| 23.45 | 5009 | მილანი-პორტუ | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,12 | 1,53 | 1,35 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 27 აგვისტო | | |
| 23.45 | 5305 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,8 | 1,8 |
| 24.00 | 5306 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1,75 | 1,85 |
| 24.00 | 5307 | მანჩესტერი-ვულვერჰემპტონი | 1,85 | 1,75 |
| 21.45 | 5308 | ჰანოვერი-ჰანზა | 1,65 | 1,95 |
| | | 29 აგვისტო | | |
| 23.45 | 5309 | მილანი-პორტუ | 1,75 | 1,85 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 27 აგვისტო | | |
| 23.45 | 5205 | არსენალი-ასტონ ვილა | 2,0 | 1,6 |
| 24.00 | 5206 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1,9 | 1,7 |
| 24.00 | 5207 | მანჩესტერი-ვულვერჰემპტონი | 2,3 | 1,45 |
| 21.45 | 5208 | ჰანოვერი-ჰანზა | 2,0 | 1,6 |
| | | 29 აგვისტო | | |
| 23.45 | 5209 | მილანი-პორტუ | 1,75 | 1,85 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 27 აგვისტო | | | |
| 23.45 | 5505 | არსენალი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 5506 | ლივერპული-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 5507 | მანჩესტერი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.45 | 5508 | ჰანოვერი-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 29 აგვისტო | | | |
| 23.45 | 5509 | მილანი-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 27 აგვისტო | | |
| 21.00 | 6004 | ლოკომოტივი-შახტარი | 2,1 | 1,45 |
| 23.05 | 6005 | კოპენჰაგენი-რეინჯერსი | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 6006 | აიაქსი-გრაცერი | 1,1 | 5,0 |
| 23.30 | 6007 | აეკ-გრასჰოპერი | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 6008 | დორტმუნდი-ბრიუგე | 1,4 | 2,1 |
| 23.45 | 6009 | დინამო(ზ)-დინამო(კ) | 4,0 | 1,14 |
| 01.00 | 6010 | ბენფიკა-ლაციო | 5,0 | 1,1 |
| | | 29 აგვისტო | | |
| 23.45 | 6011 | მილანი-პორტუ | 1,45 | 2,3 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 27 აგვისტო | | |
| 23.45 | 5405 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,15 | 5,0 |
| 24.00 | 5406 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1,4 | 3,0 |
| 24.00 | 5407 | მანჩესტერი-ვულვერჰემპტონი | 1,05 | 6,5 |
| 21.45 | 5408 | ჰანოვერი-ჰანზა | 1,55 | 2,5 |
| | | 29 აგვისტო | | |
| 23.45 | 5409 | მილანი-პორტუ | 1,65 | 2,3 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 27 აგვისტო | | | | | | | | | |
| 23.45 | 5105 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 24.00 | 5106 | ლივერპული-ტოტენჰემი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 24.00 | 5107 | მანჩესტერი-ვულვერჰემპ. | 1,2 | 25,0 | 50,0 | 3,6 | 8,0 | 30,0 | 40,0 | 25,0 | 25,0 |
| 21.45 | 5108 | ჰანოვერი-ჰანზა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| | | 29 აგვისტო | | | | | | | | | |
| 23.45 | 5109 | მილანი-პორტუ | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |

**კროკოს დიდუბის ბიურო (წერეთლის გამზირი, კორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც იმუშავებს**

# William HILL

## უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

უეფას თასი

I ეტაპი. II მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 აგვისტო | | | |
| ენისი-ჟოკავივი | 4,33 | 3,4 | 1,66 |
| ატლანტასი-გროცლინი | 3,6 | 3,3 | 1,83 |
| 28 აგვისტო | | | |
| სიონი(ბ)-პუხოვი | 2,5 | 3,3 | 2,37 |
| შირაქი-ნორდსიელანდი | 3,1 | 3,3 | 2,0 |
| სარტიდი-სარაევო | 1,57 | 3,5 | 5,0 |
| ბანანცი-ჰაპოელი | 3,0 | 3,4 | 2,0 |
| ბელასიცა-პუბლიკუმი | 2,8 | 3,4 | 2,1 |
| დუდელანჟი-პეტრჟალკა | 5,0 | 3,6 | 1,53 |
| ტორპედო(ქ)-ლანსი | 4,33 | 3,4 | 1,66 |
| დნიპრო-ვალეცი | 1,2 | 5,5 | 9,0 |
| მეტალურგსი-დინამო(ბქ) | 2,6 | 3,3 | 2,3 |
| ვარტეკსი-ლევადია | 1,11 | 7,0 | 12,0 |
| ტალინი-ოდენსე | 4,2 | 3,5 | 1,66 |
| პლოცკი-ვენტსპილსი | 1,36 | 3.75 | 8,0 |
| მაკაბი-ქუიმბრანი | 1,16 | 5.5 | 12,0 |
| ზიმბრუ-ლოტექსი | 2,62 | 3,2 | 2,3 |
| ანორთოსისი-ელფსნიბარი | 1,8 | 3,4 | 3,6 |
| ლინი-რუჟავეკი | 1,07 | 7,0 | 19,0 |
| დებრეცენი-ეგრანასი | 1,36 | 4,2 | 6,5 |
| სანტა კოლომა-ესბიერგი | 15,0 | 6,5 | 1,11 |
| სტიაუა-ნემანი | 1,2 | 5,0 | 11,0 |
| იანგ ბოისი-მიუპა | 1,57 | 3,5 | 5,0 |
| გრინდავიკი-კერნტენი | 3,2 | 3,2 | 2,0 |
| დინამო(მნ)-ბრიონდბიუ | 2,6 | 3,4 | 2,25 |
| კლაკსვიკი-მოლდე | 6,5 | 3,6 | 1,44 |
| ფილკირი-აიკ | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| დერი-აპოელი | 2,6 | 3,3 | 2.3 |
| ჰაიდუკი-ჰაკა | 1,53 | 3,6 | 5,0 |
| ქსამაქსი-ვალეტა | 1,05 | 8,0 | 21,0 |
| პორტდაუნი-მალმიო | 4,33 | 3,4 | 1,66 |
| ტნს-სიტი | 17,0 | 8,0 | 1,06 |
| შელბურნი-ოლიმპია | 2,5 | 3,1 | 2,5 |
| კატოვიცე-ცემენტარნიცა | 1,33 | 4,0 | 8,0 |
| ლეირია-კოლრეინი | 1,16 | 5,4 | 12,0 |

ჩემპიონთა ლიგა

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

საპასუხო მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 აგვისტო | | | |
| ლოკომოტივი — შახტარი | 1,72 | 3,2 | 4,33 |
| ცსკა — გალათასარაი | 2,3 | 3,1 | 2,75 |
| კოპენჰაგენი — რეინჯერსი | 2,37 | 3,1 | 2,62 |
| აეკ — გრასჰოპერი | 1,53 | 3,4 | 5,5 |
| აიაქსი — გრაცერი | 1,28 | 4,5 | 8,0 |
| დორტმუნდი — ბრიუგე | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| სელტიკი — მტკ | 1,2 | 5,5 | 9,0 |
| დინამო ზ. — დინამო კ. | 2,25 | 3,1 | 2,8 |
| ნიუკასლი — პარტიზანი | 1,36 | 3,75 | 8,0 |
| სლავია — სელტა | 2,37 | 3,1 | 2,62 |
| მარსელი — აუსტრია | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| ბენფიკა — ლაციო | 2,4 | 2,9 | 2,75 |

# რეფორმაცია დინამოში
## როდის დალაგდება არეული სახლი

*ქართული კლუბების საერთო გაჭირვების ფონზე ყველაზე შემძლედ გამომზირალ „დინამოში" დიდი ორომტრიალია. იგივე სიტუაციაა თითქმის ყველა დანარჩენ კლუბში, მაგრამ თუ სხვაგან ფაციფუცი და მიდი-მოდი უსახსრობის გამოა ატეხილი, „დინამოზე" ამას ვერ ვიტყვით. ჩემპიონები ძველი სამუშაო ადგილების ნაცვლად ახლებს ქმნიან, ვიღაცას ათავისუფლებენ და ვიღაცას ნიშნავენ, მაგრამ ამაზე ღიად მოსაუბრე კაცი გუშინ „დინამოს" ბაზაზე არ გამოჩნდა*



ბაჩო სხიერელის ნაცვლად ორიოდ კვირის წინ კლუბის აღმსრულებელ დირექტორად დანიშნულმა კახა ნუცუბიძემ კლუბში საკადრო რეფორმები წამოიწყო.

კლუბიდან წავიდა „დინამოს" სიმბოლოდ ქცეული, ბოლოხანს მმართველ დირექტორად მომუშავე ლევან მოსეშვილიც, რითაც შეწყდა ამ დამსახურებული კაცის მრავალწლიანი ურთიერთობა ამ კლუბთან. სინამდვილეში, „დინამოში" მოსეშვილის „ხანა" მაშინ დასრულდა, როცა გუნდი ბადრი პატარკაციშვილმა იყიდა და ცნობილი ბიზნესმენის თანამოსაქმენი თანდათან ჩაენაცვლნენ კლუბის ძველ მმართველებს.

თქმულიდან გამომდინარე, რომ არაფერი ვთქვათ კლუბში მიმდინარე სატრანსფერო ციებ-ცხელებაზე, ვფიქრობთ, „დინამოს" ხელმძღვანელობასთან გასაუბრების საკმაო საფუძველი გვქონდა, მაგრამ...

„არც ერთი სიტყვა პრესას!" „დინამოს" მწვრთნელ-მენეჯერ-აღმასრულებელ თუ მმართველ დირექტორებიანად არავინ ისურვა პრესასთან საუბარი. მიზეზი კლუბში მიმდინარე საკადრო ცვლილებებია, რომლის დასრულებამდე ვერაფერს გეტყვითო. საკადრო ცვლილებები უკვე ნახევარი თვეა, მიმდინარეობს და, როგორც ჩანს, კარგა ხანს კიდევ გაგრძელდება.

ერთადერთი, რაც შევიტყვეთ, ესაა: კლუბის ერთერთმა წარმომადგენელმა კერძო საუბარში გვითხრა, ბაჩო სხიერელს კლუბის ადმინისტრატორის თანამდებობას სთავაზობენო. ცნობისთვის: აქამდე „დინამოში" ადმინისტრატორის შტატი არ არსებობდა.

მოკლედ, ჩემპიონთა ბანაკი ჯერ დასალაგებელ სახლს ჰგავს და ვნახოთ, როდის და როგორ დაეწყობა.

**ირაკლი პერტაია**

# მთავრობამ კალათბურთიც დააზარალა
## რუსთავი რუსმა არ გაწირა

*იდეაში სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან გამიჯნული სფეროები უნდა იყოს, მაგრამ ეს რომ ასე არაა, ქართული კალათბურთის მაგალითიდანაც კარგად ჩანს. ეროვნული ჩემპიონატის სამგზის ფინალისტი რუსთავის „აზოტი" გამოდგა ის გუნდი, რომელიც საქართველოს მთავრობისა და რუსული ენერგოკომპანია „იტერას" აბურდულმა ურთიერთობებმა დააზარალა*



**ოთარ ხმელიძე ზამთარში „აზოტის" დარბაზის გახსნის ცერემონიალზე**

სადღეისოდ რუსთავში ისეთი ვითარებაა შექმნილი, „აზოტს" უწინდელზე გაცილებით სუსტი გუნდი ეყოლება. მიზეზი მარტივი და ქართული კლუბებისთვის დამახასიათებელია: არასაკმარისი დაფინანსება. არასაკმარის დაფინანსებაზე შესაძლოა, ვთქვათ, ბერძნულმა „პანათინაიკოსმაც" დაიჩივლოს, მაგა ხომ ჭამაში მოდის, მაგრამ რა ბიუჯეტიც რუსულმა ენერგოვეშაპმა „აზოტს" გამოუყო, რუსთავული საზომით მართლაცდა არასაკმარისია.

რა ხანია, რუსთაველებს სოლიდური გუნდი შეუკრავთ და კალათბურთსაც განსხვავებული ჟინით ქომაგობენ. ზედიზედ სამი წაგებული ფინალის შემდეგ მეტალურგთა ქალაქში ამბიციები ოდნავ მინელდა და ბოლო სეზონში ქვემოქართლურმა კლუბმა ნახევარფინალშიც კი ვერ გააღწია. ახლა კი „აზოტს" ის ციცქნა ბიუჯეტიც გაუნახევრეს, რაც აქამდე ჰქონდა. არადა, როცა ქარხანა „აზოტი" „იტერამ" იყიდა, საქმეს რუსთაული კლუბის აღორძინების სუნი უდიოდა და სხვადასხვა კლუბებიდანაც არაერთი ძლიერი კალათბურთელი დაიძრა ქვემო ქართლისკენ.

ამასობაში ქართველმა ჩინოსნებმა გამოაცხადეს, რომ კომპანია „იტერას" საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ 50 მილიონი დოლარი აქვს გადასახდელი ჩვენს ქვეყანაში წარმოებული არასწორი ენერგომეურნეობის გამოო და რუსმაც, კალათბურთისთვის აღარ მცხელაო.

„როგორც მანამდე იყო ცნობილი, საქართველოს მთავრობას კომპანია „იტერას" 100-მილიონიანი ვალი ჰქონდა, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ რუსებს იქით მოსთხოვა 50 მილიონი და „იტერას" პრეზიდენტმაც უარი თქვა ქარხანა „აზოტის" ბაზაზე შექმნილი ყოველგვარი სპორტული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის დაფინანსებაზე — ამბობს „აზოტის" მთავარი მწვრთნელი ოთარ ხმელიძე — ლევან კენჭაძემ, გიორგი გოგოლაძემ და ჩვენი კლუბის სხვა ხელმძღვანელმა თუ ახლობელმა წერილი გაუგზავნეს „იტერას" პრეზიდენტს მოსკოვში და აუხსნეს, თუ რას ნიშნავს კალათბურთი რუსთაველთათვის. კეთილმოყობილი დარბაზი, ტემპერამენტიანი გულშემატკივარი, საკმაოდ დიდი ტრადიციები — ალბათ არ დაუშვებთ, რომ ასეთმა კლუბმა არსებობა შეწყვიტოსო. მხარი დაგვიჭირა ქარხანა „აზოტის" ახალდანიშნულმა დირექტორმა ანდრეი პარშუტინმაც. „იტერას" პრეზიდენტმა გუნდი არ გააუქმა, მაგრამ დაფინანსება კი გაგვინახევრა."

ასეთ ვითარებაში „აზოტმა" ვერ შეინარჩუნა გუნდისა და ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი არჩილ ჟღენტი, რომელიც დიდი პატივით მიიღო „დინამომ". „ბასკოდან" რუსთაველთა დასახმარებლად წამოსულმა ზვიად ბაბიაშვილმა კი რუსთავში შემოიარა და „სტუ-ჯეოსელში" მოეწყო. არც ისაა გამორიცხული, სეკვესტრირებულმა „აზოტმა" შემორჩენილი ერთი-ორი რიგიანი მოთამაშეც ველარ შეინარჩუნოს.

სამთავრობო ეშელონებში კი „იტერას" ყბადაღებული თემის ირგვლივ დავა-კამათი გრძელდება და საბოლოოდ ეგებ ისეთი გადაწყვეტილება გამოიტანონ, რუსი კალათბურთისკენ მოახედონ, რაც ერთობ საეჭვოა.

**ირაკლი პერტაია**






**ფერნანდო ალონსომ ესპანეთს ბედნიერი წუთები აჩუქა**

# ფიესტა ზეზეას!
## სიგიჟე ერთი რბოლისა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

*ფერნანდო ალონსოს უნგრულ გამარჯვებას სრულიად ესპანეთი ზეიმობს. ამ 22 წლის ჭაბუკმა მშობლიურ სამეფოს პირველი დიდი პრიზი მოუტანა და რა გასაკვირია, თუ შინ, ოვიედოში დიდსა და პატარას მასზე აბოდებს. პრემიერ მინისტრმა დაურეკა, მერე მეფემაც...*

*საერთოესპანური ფიესტის მედროშენი, რაღა თქმა უნდა, გაზეთები არიან. „მარკამ" თვით უფალ ფეხბურთს ფრთები ჩამოაჭრა და ალონსოს თემას შვიდი გვერდი დაუთმო. არც „მარკას" კონკურენტი AS პასიურობს, ამ მადრიდულმა ყოველდღიურმა გამოცემამ უცებ, ცხელ გულზე ალონსოსთან მომცრო ინტერვიუ გამოაცხო...*

**— ფორმულა 1-ს — თავის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული; ესპანეთს — თავისი პირველი გრან პრი; „რენოს" — ბოლო ოცი წლის მანძილზე ყველაზე დიდი სიხარული — როგორ გრძნობს თავს ის ადამიანი, ვინც ამდენი რამ ერთ დიდ ფიესტად გადააქცია?**

— ეს ყველაფერი ერთი, თუნდაც არაჩვეულებრივი დღისთვის ნაღდად მეტისმეტია! 22 წლის ვარ და უკვე ფორმულა 1-ის დიდი პრიზი მოვიგე, ყველაზე დიდი ოცნება გამაოგნებელ რეალობად გადამექცა. ახლა, დამეთანხმებით, სხვა არა დამრჩენია რა, თუ არა ჯიუტად მივყვე ჩემს კარიერას და მომავალ დიდ გამარჯვებებზე ვიზრუნო. გადასარევად დასრულდა ეს კვირა. გულახდილად გეტყვით, როდესაც მე-9 წრეზე დავინახე, თუ რამხელა მანძილი იყო ჩემსა და მეტოქეებს შორის... მანამდე გამარჯვებისა პრაქტიკულად არც მჯეროდა.

**— რბოლის უკანასკნელ წრეებზე უკიდურესად აღგზნებული ჩანდით...**

— ცხოვრებაში ასე პირველად ვღელავდი. ბოლო ორი ოხერი წრე მართლაც უსასრულოდ მომეჩვენა. მერე ირგვლივ მოტორთა ზუზუნი, ხმაური... სრული ქაოსი იდგა! ფინიშის ხაზს რომ მივუახლოვდი, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რასაც ახლა სიტყვით კი არა, საერთოდ ვერანაირად ვერ გადმოგცემთ. სიჩქარეს დავუკელი, ოქროს ხაზი ნელა გადავლახე და თან შეშლილივით გავყვიროდი, გავიმარჯვე-მეთქი. საოცარი წუთები იყო.

**— რბოლის დასაწყისში რას ფიქრობდით?**

— არ მახსოვს, ნამდვილად არ მახსოვს. ერთი რამ კი ცხადია, ეს ერთადერთი რბოლა იყო ჩემს ცხოვრებაში, როდესაც უკიდურესად რეალისტიც ვიყავი და ამავდროულად უცხო სივრცეშიც ფრთაშესხმული დავფრინავდი. ახლა ეს სიგიჟედ მეჩვენება, მაგრამ მაშინ, მერწმუნეთ, ამაში უცნაურს ვერაფერს ვხედავდი.

**— ამ დიდ გამარჯვებას ვის მიუძღვნით?**

— გაგეცინებათ და... ბებიაჩემს. სანამ ის ბედნიერი შეჯიბრება დაიწყებოდა, მას ვუთხარი, რომ მოსაგებად მივდიოდი და თანაც პირობა ჩამოვართვი, ეს ამბავი არავისთვის გაემხილა. მე ჩემი სიტყვა შევასრულე და თქვენ წარმოიდგინეთ, იმანაც. უზარმაზარ მხარდაჭერას ვგრძნობდი აგრეთვე ესპანელი გულშემატკივრებისგან. მათმა სიყვარულმა და გულითადობამ ჩემს ფიესტაში დიდი როლი ითამაშა, რისთვისაც მეტად მადლიერი გახლავართ.

**— მეფემ უკვე დაგირეკათ?**

— არა, უფრო სწორად, ჯერ არა, თუმც ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარის მილოცვა უკვე მივიღე.

**— რანაირად მოგილოცათ?**

— ისეთი პომპეზური არაფერი ყოფილა. მითხრა, რომ რბოლის პერიპეტიებს ისე განიცდიდა, თითქოს ჩემს მანქანაში იჯდა. კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი მთავრობასაც და უბრალო ხალხსაც არნახული გულშემატკივრობისთვის.

**— რა განიცადეთ, როდესაც შუმახერსა და თქვენს თანაგუნდელ ტრულის გადაასწარით?**

— ვერ დაგიმალავთ და შუმახერის გადასწრების შემდეგ თავი დიდებულად ვიგრძენი. ასეთ სახელგანთქმულ მრბოლელს რომ უკან ჩამოიტოვებ, ესე იგი შენს საქმეში რაღაცას წარმოადგენ. ტრულის გასწრების დროს კი ყველანაირად ვცდილობდი, მისი მანქანა არ დამეზიანებინა.

**— მალაიზიაში პოულის მოგებისას გვითხარით, ჩემგან ძალიან დიდ გამარჯვებებს ელოდეთო. ეს ერთხელ უკვე მოხდა. ამჟამად რა არის „ოქროს ფერნანდოს" უახლოესი სამიზნე?**

— საგაისო მსოფლიოს ჩემპიონატში ფავორიტობა კიმი რაიკონენთან და ხუან პაბლო მონტოიასთან ერთად. ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს და გასაკვირი იქნება, მომავალი წლისთვის შესაბამისად ამბიციური გეგმები რომ არ გვქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

US OPEN 2003

# პიტ სამპრასი ბოლომდე დაიცალა და გაგვეცალა



REUTERS ნიუ იორკიდან

პისტოლ პიტი თავს კი იკავებს, მაგრამ ცრემლებს მაინც ვერ იკავებს

ყველა დროის ალბათ მაინც უდიადესი მეჩოგნე პიტ სამპრასი დიდი კორტიდან სუფთა სინდისით, დამშვიდებული გულითა და ასი პროცენტით დახარჯული წავიდა. წავიდა ისე, რომ არც საკუთარი თავისა და არც მილიარდობით ქომაგისთვის დასამტკიცებელი არაფერი არ დარჩა.

ეს ორშაბათს, ჩვენი დროით ძალიან გვიან, ფლეშინგ მედოუზის ცენტრალურ, არტურ ეშის სახელობის კორტზე მოხდა. ამ კორტზე დიადმა ელინოამერიკელმა თავისი 14 სლემტიტულიდან 1990 წელს პირველის, ხოლო შარშან უკანასკნელის მოგება შეძლო.

„მე მივდივარ, რადგან აღარაფერი დამრჩა დასამტკიცებელი. მივდივარ, რადგან ვიცი, რომ — უკვე დროა!" — ამბობდა პიტი.

„მე კმაყოფილი ვარ, 100 პროცენტით კმაყოფილი ვარ ყველაფერი იმით, რაც კორტზე ვაკეთე."

„ნურავინ იფიქრებს, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის ადვილი იყო. პირიქით, ძალზედ ძნელი ყოფილა იმის შეწყვეტა, რასაც შვიდი წლიდან მისდევდი."

„მაგრამ ჩოგბურთი დიდ შრომას, მუდმივ მობილიზებას მოითხოვს და მრავალი წლის განმავლობაში მეც სწორედ ასე ვიცხოვრე. ახლა კი ამის გაგრძელება უკვე აღარ მსურს — მე არ მინდა კორტზე გამოსამშვიდობებლად გავიდე, რადგანაც ყოველთვის მხოლოდ მოსაგებად გავდიოდი."

„თუკი სისხლში ჟინი არ გიტრიალებს, აღარაფერი გამოვა. შარშან აქ მოგების მერე ვიგრძენი, რომ ამ ჟინისგან საბოლოოდ დავიცალე. ამას დიდი ხანია მივხვდი და შევეგუე კიდეც. ამიტომაც უკვე ძალიან მშვიდად ვარ — ვიცი, რომ კორტზე ბოლომდე დავიხარჯე და მას აღარასოდეს დავუბრუნდები."

„ახლა მინდა მხოლოდ კარგი მამა და კარგი მეუღლე ვიყო."

„ყველა დროის საუკეთესო?! მე არ ვაპირებ ამ ტიტულის შეფერებას. ეს არასოდეს მოხდება, თუმცა ვერც იმას უარვყოფ, რომ კარიერის მანძილზე ბევრი რამ მოვიგია და რომ ეს მონაგარი ბევრი რამის მთქმელია. ჩემი აზრით, ხანდახან მართლაც სრულყოფილ ჩოგბურთს ვთამაშობდი და ისე მგონია, რომ ჩემი თამაში ნებისმიერი მეჩოგნისას შეედრებოდა."

„კორტს მოგონებებით აღვსილი ვტოვებ. მე მართლაც სახელოვანი კარიერა მქონდა და ეს ძალზედ მეამაყება. მეამაყება, რომ წლების განმავლობაში ანდრე აგასისა და ბორის ბეკერის დარ გენიოსებს ტოლსწორად ვეპაექრებოდი და რომ მრავალ დიად შეხლაში დამიდია წილი."

„მე ძალიან მომენატრება თამაში, შეჯიბრი, ფინალებამდე ბრძოლა და 20-ათასიანი ლიანგების წინაშე ლაღობა."

„მე უბრალოდ, ძალიან მომენატრება ჩოგბურთი."

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ 14-წლიანი კარიერისას პიტ სამპრასმა 64 ტიტულთან ერთად, რომელთაგან 14 სლემტიტული გახლავთ, მარტო საპრიზო თანხად 43 მილიონი დოლარი იშოვა. ის ზედიზედ 6 წელი სეზონს ამქრის მეპირველედ ასრულებდა და ჯამში რეიტინგსიის სათავეში 286 კვირა დაჰყო.

ზემორე აბზაცში მოხმობილი ყველა რიცხვი სარეკორდოა და სწორედ ამის გამოა, 32 წლის პისტოლ პიტს ყველა დროის უდიადეს მეჩოგნედ რომ თვლიან.

ერთადერთი, რაც საქმეში ჩახედულ მილეთს მისთვის ამ ტიტულის მინიჭების სამართლიანობაში აეჭვებს, პიტის მიერ როლანგაროსობის მოუგებლობაა ანუ — ვთქვათ — 11-გზის სლემტიტულოსან როდ ლეივერისა თუ 8-გზის სლემტიტულოსან ანდრე აგასისგან განსხვავებით მან ეგრეც ვერ შეძლო, დიდი კორტიდან წასვლამდე „საკარიერო დიდი სლემი" შეეკრა.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS ნიუ იორკიდან

ხუან კარლოს ფერერო

## კაცები

**ხუან კარლოს ფერერო** (3, ესპანეთი) — იან ვაცეკი (ჩეხეთი) 6:2, 4:6, 6:3, 6:2; **გილერმო კორია** (5, არგენტინა) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 6:4, 6:3, 6:1; **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:3, 6:2, 6:2; **რამონ დელგადო** (პარაგვაი) — სებასტიან გროჟანი (9, საფრანგეთი) 6:4, 6:7 (3:7), 4:6, 7:6 (9:7), 6:4; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ტომი რობრედო (17, ესპანეთი) 6:3, 6:4, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) — მაქს მირნი (18, ბელარუსი) 7:6 (7:3), 2:6, 6:2, 7:6 (8:6); **უეინ ფერეირა** (23, სამხრეთ აფრიკა) — ივან მირანდა (პერუ) 6:4, 6:3, 6:1; **მარდი ფიში** (24, აშშ) — იოახიმ იოჰანსონი (შვედეთი) 6:3, 6:2, 6:4; **არნო კლემანი** (31, საფრანგეთი) — ბრაიან ვაალი (აშშ) 6:7 (6:8), 7:6 (8:6), 6:3, 6:4; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:2, 6:3, 6:3; **ტოდ მარტინი** (აშშ) — რობერტ იმი (აშშ) 6:1, 7:6 (9:7), 6:2; **ტაილორ დენტი** (აშშ) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 7:6 (7:1), 6:3, 3:6, 6:4; **მარტინ ვერკერკი** (ჰოლანდია) — ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 7:6 (7:4), 4:6, 3:6, 7:6 (11:9), 1:0 ბოგომოლოვმა შეწყვიტა; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:1, 6:4, 6:0; **გრეგორი კარა** (საფრანგეთი) — გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) 6:4, 4:6, 6:2, 5:7, 6:4

## ქალები

**კიმ კლაისტერსი** (1, ბელგია) — ამბერ ლიუ (აშშ) 6:2, 6:3; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — ელს კალენსი (ბელგია) 6:1, 6:0; **ამელი მორესმო** (5, საფრანგეთი) — ანჯელიკ ვიჯაჯა (ინდონეზია) 6:0, 6:2; **მარია ვენტოკაბჩი** (ვენესუელა) — ჩანდა რუბინი (8, აშშ) 6:4, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა** (9, სლოვაკეთი) — მარიამ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:3, 6:2; **კონჩიტა მარტინესი** (12, ესპანეთი) — სარა ტეილორი (აშშ) 6:3, 6:4; **ვერა ზვონარიოვა** (13, რუსეთი) — ლუბომირა კურჰაიკოვა (სლოვაკეთი) 6:3, 6:2; **ამანდა კუტცერი** (14, სამხრეთ აფრიკა) — გაბრიელა ლასტრა (აშშ) 6:0, 6:2; **მეგან შონესი** (17, აშშ) — კაროლინა სპრემი (ხორვატია) 6:3, 6:2; **პატი შნიდერი** (18, შვეიცარია) — ბი ბილიკი (აშშ) 6:1, 6:4; **ნადია პეტროვა** (19, რუსეთი) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:4, 6:0; **პაულა სუარესი** (24, არგენტინა) — ანგელიკა რიოში (გერმანია) 6:3, 6:3; **მირიამ კაზანოვა** (შვეიცარია) — ელენი დანილიდუ (25, საბერძნეთი) 6:3, 6:1; **ანკა ბარნა** (გერმანია) — ლიმა კრასნორუცკაია (26, რუსეთი) 6:1, 0:6, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (27, რუსეთი) — ფლავია პენეტა (იტალია) 6:1, 6:1; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:1, 6:1; **ეშლი ჰარკლროუდი** (აშშ) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:4, 6:2; **ტამარინე ტანასუგარნი** (ტაილანდი) — რიტა გრანდე (იტალია) 6:0, 7:5; **მარია კირილენკო** (რუსეთი) — ტერეზა ლოგარი (აშშ) 6:4, 6:2



### პიტ სამპრასი

დაიბადა 1971 წლის 12 აგვისტოს
სიმაღლე: 185 სმ
წონა: 79 კგ
პროფესიონალი გახდა 1988 წელს

1990 — პირველი სა-ATP-ო ტიტულები მოიგო ფილადელფიასა და მანჩესტერში. 19 წლის და 28 დღისა გახდა აშშ-ის ღია პირველობის უმრწემესი ჩემპიონი. ტურნირის ბოლო სამ მატჩში ივან ლენდლს, ჯონ მაკინროისა და ანდრე აგასის აჯობა. სეზონი რეიტინგსიის მეხუთე საფეხურზე გაასრულა.

1991 — სამი საერთეულო ტიტული მიითვალა.

1992 — თავისი პირველი თიხნარტურნირი მოიგო კიცბიუელში.

1993 — აპრილში რეიტინგსიის სათავეში მოექცა და მე-11 პირველოსანი მოთამაშე გახდა. ჯამში რვა ტიტული მოიმკა — აშშ-ის ღია პირველობისა და თავისი პირველი უიმბლდონის ჩათვლით.

1994 — კარიერის სარეკორდოდ ბევრ, 10 ტურნირზე იმარჯა, ამათ შორის პირველად მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა და მეორედ — უიმბლდონი. პირველი მოთამაშე გახდა ივან ლენდლის (1987) შემდეგ, რეიტინგსიის პირველოსნობა მთელი წლის განმავლობაში რომ შეინარჩუნა.

1995 — მოიგო 5 ტიტული, ზედიზედ მესამე უიმბლდონობისა და ჯამში მესამე ფლეშინგმედოუზობის ჩათვლით. აშშ-ის დევისნაკრების მიერ თასის მოგებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. გახდა პირველი მეჩოგნე, ერთი წლის განმავლობაში საპრიზო თანხად 5 მილიონ დოლარზე მეტი რომ იშოვა.

1996 — როლანგაროსზე კარიერის საუკეთესო შედეგი აჩვენა — ნახევარფინალამდე გააღწია, სადაც ევგენი კაფელნიკოვთან დათმო. 25-მოგებიანი უიმბლდონური სერია მეოთხედფინალში მომავალმა ჩემპიონმა რიხარდ კრაიჩეკმა წაუმურდლა. ჯამში 8 ტიტული მოაქუჩა, ამათ შორის — აშშ-ის ღია პირველობაზე ნაშოვნი მეოთხე სლემჯილდოც. მისი ყოფილი მწვრთნელი, ტიმ გალიკსონი, რომელიც მას 1992-94 წლებში მოძღვრავდა, ტვინის სიმსივნისგან გარდაიცვალა.

1997 — ჯიმი კონორსის შემდეგ გახდა პირველი მეჩოგნე, ამქრის პირველოსნობა ზედიზედ ხუთი წლის განმავლობაში რომ შეინარჩუნა. მოიგო 8 ტიტული — აქედან ერთი უიმბლდონობაზე, ერთიც ავსტრალიის ღია პირველობაზე. დიდი სლემის თასზე კარიერის 50-ე ტიტული მოიღვაწა. კარიერის სარეკორდოდ ბევრი, 6 498 311 დოლარი იშოვა.

1998 — გახდა პირველი მეჩოგნე, ვინაც ATP-ის „რეიტინგისტორიაში" ამქრის მეთაური ადგილი 6 წლის განმავლობაში არავის დაანება. კარიერაში მეორედ შეძლო, ოთხი ტიტული ოთხ სხვადასხვა საფარზე მოეპოვებინა. მეხუთედ იმარჯვა უიმბლდონზე.

1999 — ხუთი ფინალი ითამაშა და ხუთივე მოიგო. მეექვსე უიმბლდონურმა ტიტულმა მის სლემმონაგარი 12 ტიტულამდე აიყვანა, რითიც ის მანამდელ რეკორდოსან როი ემერსონს გაუტოლდა. ტრავმიანობის გამო 1988 წლიდან პირველად გაუცდა აშშ-ის ღია პირველობა.

2000 — მეშვიდედ მოიგო უიმბლდონი და უბობოლეს სლემტიტულოსანთა ჩამონათვალში 13 ჯილდოთი აბსოლუტური პირველოსანი გახდა. გაიმეორა ბიორნ ბორგის მიღწევა — ზედიზედ რვა წლის განმავლობაში სულ მცირე ერთი სლემტიტულის მოპოვება მათ გარდა სხვას არავის გამოსვლია. გახდა ერთადერთი მეჩოგნე, ვინაც 1990-2000 წლებში ყოველწლიურად ერთ ტიტულს მაინც იგებდა. ზედიზედ მე-9 სეზონი გაასრულა რეიტინგსიის ზედა სამეულში. სექტემბერში მსახიობ ბრიჯიტ უილსონზე იქორწინა.

2001 — ერთი ტიტულიც არ მოუგია. უიმბლდონზე 31-მოგებიანი სერია მეოთხე წრეში როჯერ ფედერერთან გაუცუდდა. აშშ-ის ღია პირველობაზე პატ რაფტერს, ანდრე აგასისა და წინა ჩემპიონ მარატ საფინს მოუგო, მაგრამ ფინალი ლეიტონ ჰიუიტთან დათმო. დაცილდა მწვრთნელ პოლ ანაკოუნს, ვისთან ერთადაც 1995 წლიდან თანამშრომლობდა.

2002 — ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხე წრეში წააგო, როლან გაროსზე — პირველივეში. უიმბლდონამდე ორი დღით ადრე კუნთი დაიჭიმა და მეორე წრეშივე იძლია უსახელო შვეიცარიელ ჯორჯ ბასტლის მიერ. ასე ადრე ის უიმბლდონობიდან არასოდეს გავარდნილა. 8 სექტემბერს — ანდრე აგასისთან ფინალური შეხლის მოგებით კარიერის მე-5 აშშ-ის ღია პირველობა მოიგო და მე-14 სლემტიტული მოინაგრა. 21 ნოემბერს პირველი შვილი — ვაჟი კრისტიანი შეეძინა.

2003 — იმის მიუხედავად, რომ აგასისთან მოგებული ფინალის შემდეგ ჩოგანი აღარსად გაუნძრევია, 25 აგვისტოს, როცა დიდი ჩოგბურთიდან წავიდა, ჯერაც რეიტინსგიის 34-ე საფეხურზე იყო.

მსოფლიოს ჩემპიონატი პარიზი. 23 - 31 აგვისტო

# ძველი დროით ახალი ჩემპიონი

**სპორტის** ამა თუ იმ სახეობაში ახალი ერა დაიწყოო — ეს ფრაზა ჩვეულებრივ იმ შემთხვევაში იხმარება, როდესაც ვინმე ყოჩაღი ახალგაზრდა დიდ სპორტსმენს დაჯაბნის ან გუნდი გუნდს დაამარცხებს და ჩამოაგდებს ტახტიდან. კაცთა სპრინტშიც ახალი ერა დაიწყო, მაგრამ არც ისე ხავერდოვნად — დიდი ჩემპიონი თავისით დაეცა.

მსოფლიოს ბოლო სამ ჩემპიონატზე „სამეფო" 100 მეტრის მომგებმა ამერიკელმა მორის გრინმა ნახევარფინალიც კი ვერ გაიარა. მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნახევარფინალური გარბენი კარგად დაიწყო, მაგრამ შუა გზაზე მარცხენა ფეხის ტრავმამ შეახსენა თავი და გარბენი მერვემ დაამთავრა. თანაც მტკივანი ფეხის გამო მან წონასწორობა დაკარგა და სხვისი ბილიკი გადაკვეთა. ფინალშიც, ცხადია, ვერ გავიდა.

გუშინწინ გვიან ფინალიც გაიმართა, მხოლოდ სპრინტის ახალი მეფე არ გამოჩენილა. გრინის არყოფნაში ფავორიტები მსოფლიოს რეკორდსმენი ტიმ მონტგომერი და ევროჩემპიონი, ბრიტანელი დუეინ ჩამბერსი იყვნენ, მაგრამ ესენი სამეულშიც ვერ მოხვდნენ. ჩამბერსმა 100 მეტრი 10.08 წამში გაირბინა და თუმც პირველ ადგილოსანს ოდენ 0.01 წამით ჩამორჩა, მედალიც კი არ შეხვდა. ის მხოლოდ მეოთხე იყო. რაც შეეხება მონტგომერის, ვერც მან იფრინა. ფინიშის იქით მხოლოდ მეხუთემ შეყო თავი.

ამასობაში ფავორიტთა არყოფნაში, თუ ყოფნა-არყოფნაში ფინიში პირველმა გადაჭრა ცნობილმა, მაგრამ არცთუ სახელგანთქმულმა კარიბელმა (სენტ კიტს-ნევისელმა) კიმ კოლინზმა. მან 100მეტრი 10.07 წამში მოილია. კოლინზს სანტიმეტრებით ჩამორჩნენ და შესაბამისად ვერცხლისა და ბრინჯაოს გამორჩნენ ასევე კარიბელი დარელ ბრაუნი (ტრინიდადი და ტობაგო) და ბრიტი დარენ კემპბელი.

მსოფლიოს ახალი ჩემპიონი მომცრო ტანის კიმ კოლინზი, როგორც მოგახსენეთ, სამძლეოსნო ამქარში ცნობილი კაცია. წინა ჩემპიონატზე, 2001 წელს ედმონტონში ის მე-6 იყო 100 მეტრში და მესამე 200 მეტრში. რამდენჯერმე ჩასცილებია 10 წამიან ზღვარს, ახლა კი მსოფლიოს ოქრო საკმაოდ უსახური 10.07 წამით მოიგო. აუცილებლად აღსანიშნავია, რომ წინა 8 ჩემპიონატზე გამარჯვებულებს ყველას უკეთესი დრო ჰქონდა, მხოლოდ მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე, 1983 წელს, ჰელსინკში კარლ ლუისმა მოიგო ასეთივე დაბალი შედეგით.

**ირაკლი ყორშია**

| 25 აგვისტო | |
|---|---|
| **უროს ტყორცნა, კაცები** | |
| 1 | ივან ტიხონი (ბელარუსი) 83.05 მ |
| 2 | ადრიან ანუსი (უნგრეთი) 80.36 მ |
| 3 | კოჯი მუროფუში (იაპონია) 80.12 მ |
| **ჭოკით ხტომა, ქალები** | |
| 1 | სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) 4.75 მ |
| 2 | ანიკა ბეკერი (გერმანია) 4.70 მ |
| 3 | ელენა ისინბაევა (რუსეთი) 4.65 მ |
| **სიმაღლეში ხტომა, კაცები** | |
| 1 | ჟაკ ფრეიტაგი (სამხრეთ აფრიკა) 2.35 მ |
| 2 | სტეფან ჰოლმი (შვედეთი) 2.32 მ |
| 3 | მარკ ბოსველი (კანადა) 2.32 მ |
| **სამხტომი, კაცები** | |
| 1 | კრისტიან ოლსონი (შვედეთი) 17.72 მ |
| 2 | იოანრი ბეტანზოსი (კუბა) 17.28 მ |
| 3 | ლივან სანდსი (ბაჰამები) 17.26 მ |
| 12 | ჯონათან ედვარდსი (ბრიტანეთი) 16.31 მ |
| **ბადროს ტყორცნა, ქალები** | |
| 1 | ირინა იატჩენკო (ბელარუსი) 67.32 მ |
| 2 | ანასტასია კელესიდუ (საბერძნეთი) 67.14 მ |
| 3 | ეკატერინი ფოგოლი (გერმანია) 66.73 მ |
| **100 მ, კაცები** | |
| 1 | კიმ კოლინზი (სენტ კიტსი-ნევისი) 10.07 წმ |
| 2 | დარელ ბრაუნი (ტრინიდადი-ტობაგო) 10.08 წმ |
| 3 | დარენ კემპბელი (ბრიტანეთი) 10.08 წმ |
| 4 | დუეინ ჩამბერსი (ბრიტანეთი) 10.08 წმ |
| 5 | ტიმ მონტგომერი (აშშ) 10.11 წმ |
| 6 | ბერნანდ უილიამსი (აშშ) 10.13 წმ |
| 7 | დეჟი ალიუ (ნიგერია) 10.21 წმ |
| 8 | უჩენა ემედოლუ (ნიგერია) 10.22 წმ |



კიმ კოლინზი ცხოვრების უბედნიერეს წუთებში

REUTERS




გოგი თოფაძე


დიდველის ახალი ისტორია დაიწყო

# დიდველის დიდი სერენადა

**ობლის კვერისა** არ იყოს, ბაკურიანში სპორტულ-ტურისტული კომპლექსის მშენებლობის დაწყებას გვიან დაადგა საშველი. 70-იანი წლებიდან მოყოლებული, არაერთი შინაური თუ უცხოელი ფიქრობდა, რომ აქ საერთაშორისო სტანდარტების მშვენიერი სპორტული ბაზის მშენებლობა შეიძლებოდა, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, მოთხილამურეებს მიიზიდავდა. საამისოდ არაერთი პროექტიც შეიქმნა, მაგრამ საქმის დაწყება ფერხდებოდა.

და აი, გუშინ აქ, დიდველის მთაზე კომპანია „ყაზბეგმა" და სააქციო საზოგადოება „დიდველმა" მოაწყეს სპორტულ-ტურისტული კომპლექსის მშენებლობის სიმბოლური საზეიმო გახსნა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრო.

„მრავალი წელია, რაც ამ საქმეზე ვოცნებობდი — გვეუბნება კომპანია „ყაზბეგის" პრეზიდენტი, საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი და ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი გოგი თოფაძე — როცა აქ ამოვდიოდი და დღემდე აუთვისებელი დიდველის მთას გავცქეროდი, მასზე თვალით გამყავდა სათხილამურო ტრასები, ახლა კი ეს საქმე ფრთებს ისხამს. აქ აშენდება ორი ათასადგილიანი ხუთვარსკვლავიანი და ორი ოთხვარსკვლავიანი სასტუმროების კომპლექსი, აგრეთვე კოტეჯები; მოეწყობა სათხილამურო საბაგირო გზები, სხვადასხვა სპორტული მოედნები, მათ შორის გოლფის სათამაშო მოედნი; აიგება სავაჭრო და გასართობი ცენტრები; დაგეგმილია გზებისა და ხიდების ინფრასტრუქტურის მშენებლობაც...„

გოგი თოფაძისგან ისიც შევიტყვეთ, რომ სპორტულ-ტურისტული კომპლექსის დაპროექტებაში ქართველ სპეციალისტებთან ერთად კანადელებიც და ავსტრიელებიც მიიღებენ მონაწილეობას. ამ პროექტით დაგეგმილია 60 მილიონი ევროს ინვესტიციის მოზიდვა. პროექტს განახორციელებს სააქციო საზოგადოება „დიდველი", რომელშიც საკონტროლო პაკეტი ქართულ მხარეს ექნება.

პირველი ეტაპის სამუშაოები 2005 წელს დასრულდება, მთლიანი სამუშაოების მერე კი აქ შესაძლებელი იქნება დიდი საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობა, მათ შორის მსოფლიოს თასის ეტაპებისა.

დიდველზე შეკრებილი საზოგადოებიდან განსაკუთრებით გახარებული ჩანდა ჩვენი სამთომოთხილამურე, ბოლო ორი ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ევროპის უნივერსიადის ჩემპიონი სოფო ახმეტელი.

„სამიოდე კვირით უცხოეთიდან დასასვენებლად ჩამოვედი — გვეუბნება სოფო ახმეტელი — გუშინ კი მომავალი სეზონისთვის მოსამზადებლად კვლავ ავსტრიაში უნდა გავმგზავრებულიყავი, მაგრამ ამ მშენებლობის დაწყების ამბავი რომ გავიგე, როგორ იქნებოდა, რომ ამ ისტორიულ დღეს გამოვკლებოდი. როცა სამშენებლო სამუშაოები დასრულდება, ვფიქრობ, იგი არაფრით ჩამოუვარდება უცხოურს."

ბუნებრივია, თავისი აზრი გამოთქვა საქართველოს პრეზიდენტმაც.

„შეჯიბრებისთვის, დასვენებისთვის აქ საუკეთესო პირობები იქნება — ამბობს ედუარდ შევარდნაძე — მშენებლობის ის ვადები, რომელზეც გოგი თოფაძემ გაამახვილა ყურადღება, იმას ნიშნავს, რომ, ჩემი აზრით, უკვე გაისად აქ რაღაც სერიოზული დაიწყება. ჯერ ალბათ საბაგირო გზები უნდა მოეწყოს და მერე სასტუმროები აშენდეს."

მანამდე კი...

მანამდე საქართველოს პრეზიდენტმა და გოგი თოფაძემ მშენებლობის დაწყების ნიშნად საზეიმო ლენტი გაჭრეს და ბაკურიანში მზიური ველის სერენადას დიდველის დიდი სერენადაც შეემატა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# დიდი სნუკერი

ჰონკონგში გახურებულა დიდი სასნუკერო ტურნირი „ევრაზია მასტერსი". რვა-რვა რჩეული ევროპელი და აზიელი ერთმანეთს ხვდება ორი დღის განმავლობაში და მერე კი ფინალია. თამაშში ჩართულნი არიან მსოფლიოს პირველი და მეორე მოსნუკერეები ჯონ ჰიგინზი და სტივენ ჰენდრი. ჰენდრის თქვენც ხედავთ დასვენების ჟამს, კენ დოჰერტისთან შეხვედრისას.



REUTERS



REUTERS

# ტაისონი აცხადებს

მაიკ ტაისონის მეგობარ გოგოდ ყოფნა იოლი არ არის, თუმც, მსახიობ ლუზ ვიტნის სახალხოდ მაინც არაფერი უჭირს. მაიკ ტაისონი გამომცხადებლად ყოფილა სოულის მუსიკის დაჯილდოების ცერემონიალზე, პასადენაში რომ გაიმართა. ამ ღონისძიებაზე ყოველწლიურად აჯილდოვებენ სოულის, რიტმ-ნ-ბლუზის, ჰიპ ჰოპის, რეპის და გოსპელის ვარსკვლავებს. ისე, ტაისონიც ხასიათზეა.

# უნივერსიადაზე

ეს გამარჯვებაა. ჩინელ მოფარიკავე ჟანგ ლიანგლიანგს კორეელი ჰა ჩანგ დუკი დაუმარცხებია, 15:11 და კორეის ქალაქ ტაეგუში მიმდინარე უნივერსიადის ჩემპიონი გამხდარა.



REUTERS

# სიტყვები ფეხზე

ასეთ რამეს იშვიათად ნახავთ. ამერიკელ თარჯიმრბენს, ჯოანა ჰეიესს სწორედ თავის ღონიერ ბარძაყზე ამოუსვირინგებია ბიბლიური სიტყვები წინასწარმეტყველ სამუელის წიგნიდან. პარიზში მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს და ჰეიესმა 400 მეტრზე შეჯიბრის ნახევარფინალში ირბინა.



REUTERS



REUTERS

# როცა მამა თამაშობს

პუერტო რიკოს დედაქალაქ სან ხუანში გრძელდება ათენის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი კალათბურთში. ათი ამერიკული გუნდიდან სამი გაისად საბერძნეთში წავა. მექსიკის ნაკრები დომინიკელებს ხვდება და ცენტრი ორასიო იამასი მოედანზე ოფლს ღვრის, მისი გოგონა აშანტი კი თანაგუნდელ ედუარდო ნახერას უზის კალთაში. „დალასის" თავდამსხმელი ნახერა დისკვალიფიცირებულია კანადელ გრეგ ფრენსისთან ჩხუბის გამო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 2. 8. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge